# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 121 (141) შაბათი, 22 ივნისი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

## გზას ვულოცავთ კეთილ საქმეებს

### შეიქმნა სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება

„შნორაკალუციუნ!“ („გმადლობთ!“) — ასე დაამთავრა სომხურ ენაზე ტაშის გრიალში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი სიტყვა საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე. მანამდე კი წაიკითხა ნაწყვეტი ოვანეს თუმანიანის ლექსიდან „საქართველოს პოეტებს“, რომელიც ქართულად თარგმნა იოსებ გრიშაშვილმა. ნაწყვეტში ლაპარაკია იმაზე, რომ სომხებმა და ქართველებმა საერთო ძალებით უნდა ააგონ მეგობრობისა და სიყვარულის ტაძარი, და რომ ყოველი ქართველი და სომეხი მოვალეა თითო აგური მაინც დადოს, რათა ეს შენობა უფრო მკვიდრი და ლამაზი იყოს.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ მისთვის ახლობელი და გასაგებია სომხური ენა, არ სჭირდება თარჯიმნები, რადგან თბილისის ისეთ რაიონში იზრდებოდა, სადაც სომხური ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობდა: ისინი მათი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. ყველაზე ახლობელ მეგობართა შორის მან დაასახელა პროფესორების გეგოლოვის, მაგაკიანის, უმიკიანის და სხვათა გვარები.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სომხეთის ისტორიის, მისი ხალხის, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის დიდ სიყვარულს არაერთხელ ჩაუყვანია მამამისი — კონსტანტინე გამსახურდია სომხეთის ქალაქებში, და იგი მამასთან ერთად ყოფილა არა მარტო ერევანში, არამედ სომხეთის ისეთ ქალაქებშიც, როგორიც არის ზვარტნოცი, გარნი, ეჩმიაძინი და სხვები.

ბატონმა გამსახურდიამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ქართული და სომხური ენების გენეტიკურ ნათესაობას, აღნიშნა, რომ მათ აქვთ საერთო ფესვები, და იყო დრო, როცა ისინი ერთიან ენას წარმოადგენდნენ. ამას ამტკიცებდნენ თავიანთ შრომებში უდიდესი მეცნიერები — ამერიკაში მცხოვრები კირილე თუმანოვი, აგრეთვე გრიგოლ კაპანციანი, ნიკო მარი. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც სიცრუის გზას დაადგა, ყოველი ღონე იხმარა, რომ დავიწყებისთვის მიეცა ეს ისტორიული ფაქტი, ახლანდელი იმპერიული რეჟიმი კი ძალღონეს არ იშურებს, ოღონდ როგორმე მტრობა დათესოს ორ მოძმე ხალხს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოუწოდა საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს არ წამოეგონ პროვოკაციებს, გამოიჩინონ სიბრძნე და კეთილგონიერება, უნდობლობა გამოუცხადონ ყველას, ვინც ანგარებიანი მიზნებით ცდილობს ვითარების დაძაბვას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტურის მეოხებით აღვივებს ეროვნული ომების ხანძარს. მან აღნიშნა ის მანკიერი გზა, რომელსაც ადგებიან სომხური ეროვნების ცალკეული პირები, თავიანთი მოქმედებით ხელს რომ უშლიან ძმური ურთიერთობის განმტკიცებას. ასეთ პირებს, — ისინი კი, საბედნიეროდ ცოტანი არიან, — საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან მათ ვნების მეტი არაფერი მოაქვთ. საქართველოს პრეზიდენტმა უსურვა ახალ საზოგადოებას ხელი შეუწყოს ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფასა და ჰარმონიზაციას ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე.

ყრილობაზე გამოვიდნენ საქართველოს სახტელერადიოს დეპარტამენტის სომხური გადაცემების მთავარი რედაქტორი გრაჩია ვარდანიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარე ვანიკ სეირანიანი, პოეტი და მთარგმნელი, ეღიშე ჩარენცის სახელობის პრემიის ლაურეატი გივი შაჰნაზარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზორის ლომსაძე, საქართველოს და სომხეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — მეცნიერები, კულტურის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკის მოღვაწეები შეეხნენ საზოგადოების წინაშე დასახულ დიდ და მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლის მთავარი მიზანია განახორციელოს კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა, ორგანიზებული მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო აქციებში, მწვავე პრობლემების გადაჭრაში, ხელი შეუწყოს სომხეთის რესპუბლიკასთან, აგრეთვე საზღვარგარეთის სომხურ დიასპორასთან საქართველოს რესპუბლიკის ორმხრივი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისში ჩამოსული სომხეთის დელეგაციის წარმომადგენლები — სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე მერუჟან ტერ-გულანიანი და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბაგრატ ასატრიანი.

თბილისის სურბგევორქის სომხური ეკლესიის მღვდელმა ნორაირმა დალოცა საზოგადოება.

მიიღეს საზოგადოების პროგრამა და წესდება, არჩეულია მთავარი საბჭო. საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე.

**რემ დავიდოვი,**
საქინფორმის კორ.

სურათებზე: საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე.

ანატოლი რუხაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

## გულთბილი შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სომხეთის უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები ბაგრატ ასატრიანი და მერუჟან ტერ-გულანიანი. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ, როგორც საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების პირველი ყრილობის სტუმრები.

გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი საქართველოს და სომხეთის კულტურული ურთიერთობის, იმ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ისტორიული კავშირურთიერთობის გაღრმავების გზების შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ ჩვენი ორივე რესპუბლიკა სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენს ორივე ხალხს, ითქვა შეხვედრაზე, თავიანთ ისტორიაში ყოველთვის გამოუნახავთ ოპტიმალური გამოსავალი ურთულესი კრიზისული სიტუაციებიდან. ასე იქნება ამჯერადაც.

სტუმრებმა დიდი შეფასება მისცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას ინიციატივას, რომელმაც აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელებს შესთავაზა თავისი შუამავლის როლი ამ ხალხებს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

საუბრის დროს ითქვა, რომ მიზანშეწონილი და მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ასეთი შეხვედრა უახლოეს ხანს მოწყობილიყო.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბატონ ზვიად გამსახურდიას გულთბილი მიღებისათვის, უსურვეს მას დიდი წარმატებები საქართველოს, მისი ხალხის საკეთილდღეოდ დასახული დიდი მიზნების მიღწევაში.

საუბარში მონაწილეობდა გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი.

## საუბარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მურმან ომანიძემ მიიღო სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები — სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები: ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიისა — ბაგრატ ასატრიანი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობისა — მერუჟან ტერ-გულანიანი.

გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული საუბარი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალ სფეროში საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხებზე.

საქინფორმი.

## საზღვარგარეთ

## „საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი იცავს ახალი დემოკრატიის კანონებს“

**ასეთი** სათაურით გამოაქვეყნა მიმდინარე წლის 7 ივნისის ნომერში გაზეთმა „ვაშინგტონ ტაიმსმა“ თავისი მიმომხილველის ანდრიუ ბოულენიკის კორესპონდენცია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი ხოშტარიას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შესახებ. მოგვყავს ამ კორესპონდენციის ცალკეული ციტატები.

გიორგი ხოშტარიამ, რომელიც იყო ვაშინგტონში, სადაც ეძებდა „მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას“, ბრალად დასდო საბჭოთა კავშირს ეთნიკური დაძაბულობის გაღვივება სიტუაციის დესტაბილიზაციის მოხდენის მიზნით საქართველოში, დამოუკიდებლობას რომ ესწრაფვის. როგორც ბატონმა ხოშტარიამ განაცხადა თავის ინტერვიუში, „ერთი ეთნიკური ჯგუფის ამხედრება მეორის წინააღმდეგ ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკა“; მან აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნულმა უმცირესობამ — სომხებმა, რუსებმა, აზერბაიჯანელებმა და სხვებმა 31 მარტს გამართულ რეფერენდუმზე დიდი უმრავლესობით მისცეს ხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამჟამად, თქვა მან, საქართველო „გარდამავალ პერიოდშია“, ცდილობს მიაღწიოს საერთაშორისო ცნობას, აგრეთვე წინანდელი რეჟიმის მიერ საბოლოოდ დანგრეული ეკონომიკის აღორძინებას.

განმარტა რა ზოგიერთი არაკეთილმოსურნის მიერ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მისამართით წამოყენებული ბრალდებანი, ბატონმა ხოშტარიამ კიდევ ერთხელ თქვა, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ზოგიერთი შემზღუდველი კანონი საჭირო იყო ახალი დემოკრატიის დაცვისათვის. კერძოდ, შეეხო რა პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის კანონს, რომლითაც გათვალისწინებულია პატიმრობაც კი პრეზიდენტის შეურაცხყოფის შემთხვევაში, მან თქვა, რომ ეს კანონი ზუსტად არის გადმოღებული კანონიდან, რომელიც არსებობს საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელსაც ვერავინ ვერ დააბრალებს არადემოკრატიულობას.

ბატონ ხოშტარიას ვიზიტი იყო კერძო მისია, იმ მიზნით, რომ უფრო მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს დასავლეთის ქვეყნებთან და დაეხმარონ საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში, რომლის დასრულებასაც იგი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში იმედოვნებს. სავსებით გასაგებია, შენიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომ ჩვენ, ისევე როგორც სხვა მცირერიცხოვან ერებს, ამერიკის შეერთებული შტატების იმედი გვაქვს. მაგრამ, აქ მოწყალების სათხოვრად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ გვსურს განვავითაროთ ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობა. მართალია, საქართველო ახლა უარეს ეკონომიკურ მდგომარეობაშია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნები, მაგრამ მას შეუძლია ბევრი რამ შესთავაზოს პოტენციურ საქმიან პარტნიორებს, მათ შორის თავისი შავიზღვისპირეთის ნავსადგურებიც. ამასთან მან დასძინა, რომ რეალური არ იქნებოდა მთლიანად გაგვეწყვიტა ეკონომიკური კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. საქართველო დამოკიდებულია საბჭოთა კავშირზე ისევე, როგორც პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, თქვა ბატონმა ხოშტარიამ.

„იურიდიული თვალსაზრისით საქართველო უკვე დამოუკიდებელია“, — აღნიშნა ბატონმა ხოშტარიამ. თუმცა, თქვა მან, ქართველები არასდროს არ შერიგებიან საბჭოთა კავშირის მიერ რესპუბლიკის ანექსიას, რომელიც 1921 წელს მოხდა, დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის შემდეგ.

საქინფორმი

## გერმანიის პარლამენტის გადაწყვეტილება

**ბონი.** (საქდესი). ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს შეუძლიათ თავიანთი საინფორმაციო ბიუროები გახსნან ბონში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დღეს ხმების უმრავლესობით გერმანიის პარლამენტმა.

კამათის დროს გამოსულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო სტატსმდივანმა ჰელმუტ შეფერმა განაცხადა, რომ არაფერი უშლით ხელს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს გახსნან თავიანთი ერთობლივი საინფორმაციო ბიუროები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამავე დროს მან გამორიცხა მათთვის დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსის, აგრეთვე რაიმე საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესაძლებლობა. როგორც ჰ. შეფერმა ბრძანა, ფედერალური მთავრობა უარყოფს აგრეთვე ამ ბიუროთა ფინანსურ მხარდაჭერას, რადგან ამას მოჰყვებოდა მისი დამოკიდებულება ბონზე.

პარლამენტის სტატსმდივანმა თქვა, რომ ფედერალური მთავრობა დაინტერესებულია პროგრესის მიღწევით ცენტრალური მთავრობისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოლაპარაკებაზე მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხში. მან ისიც თქვა, რომ მალე ბონი აპირებს დაიწყოს მოლაპარაკება ბალტიისპირეთის ერთ-ერთ რესპუბლიკაში გოეთეს სახელობის ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნის თაობაზე.

## ტრაგედია გზაზე

**მთელი** ლიტვა აფორიაქებულია: კლაიპედა-პალანგის გზაზე ტრაგიკული ინციდენტი მოხდა, რომელმაც ორი მშვიდობიანი მცხოვრები შეიწირა.

...აბა როგორ იფიქრებდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სივარას და დაივა მუჟები, რომ საკუთარი ავტომობილით მოგზაურობა უკანასკნელი იქნებოდა მათ ცხოვრებაში. არც იმას იფიქრებდნენ, რა თქმა უნდა, რომ 20 წლის მესაზღვრე ალექსი ტოლმაჩოვი ისარგებლებდა საწყობის დაცვის დანაშაულებრივი გულგრილობით, მოიპარავდა საბრძოლო მასალებიანურთ ავტომატს და, როგორც ნამდვილი „შარაგზის ყაჩაღი“, თავს დაესხმოდა პირველსავე შემხვედრ მანქანას — მათ „ჟიგულის“.

ა. ტოლმაჩოვმა გულგრილად დახოცა ისინი ავტომატის ჯერით, გვამები გზაზე გადაყარა, საჭეს მიუჯდა და დანაშაულის ადგილიდან მიმალვა სცადა.

...ავტომობილი რამდენიმე ასეულ მეტრზე იპოვეს — ა. ტოლმაჩოვი, რომელსაც ეტყობა მოსახვევში საჭე ვერ დაემორჩილებინა, ხეს დასჯახებოდა. ადგილობრივმა პოლიციამ ახლომდებარე ტყის ჩხრეკის შემდეგ მკვლელი მეტად აღგზნებულ მდგომარეობაში იპოვა. მოგვიანებით გამოირკვა: თურმე წინათ ჯარისკაცი სამკურნალოდ ყოფილა მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. შემდეგ იგი „საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის ვარგისად“ მიუჩნევიათ და ლიტვაში გაუგზავნიათ.

ვიცე-პრემიერმა ზ. ვაიშვილამ პროტესტი გაუგზავნა სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს, ლიტვასთან მოსალაპარაკებლად დანიშნული საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს ვ. დოგუჟიევს. რესპუბლიკის მთავრობამ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპული ცოლ-ქმრის ნათესავებსა და ახლობლებს. პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე...

მაგრამ ამ ახალგაზრდებს სიცოცხლეს ვინ დაუბრუნებს? ლიტვაში კვლავ იღუპებიან ადამიანები.

**გენადი დემეტრაშვილი,**
საქინფორმის საკუთარი კორესპონდენტი.

## ფიცი დადო ინდოეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა

**დელი.** (საქდესი). ინდოეთის პრეზიდენტმა რამასვამი ვენკატარამანმა დღეს ფიცი დაადებინა ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრს ნარასიმჰა რაოს. იგი წარმოადგენს ინდოეთის ეროვნულ კონგრესს (ი), რომელმაც მეტი ადგილები მოიპოვა ქვედა პალატაში პარლამენტის საყოველთაო არჩევნების შედეგად.

## ტყე შევუნახოთ შვილებს

**თანამემამულენო!** მოგმართავთ სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, რომ ზაფხულის ცხელი და მშრალი ამინდების დადგომასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ტყეებში (ტყის მასივებში, ნაკრძალებში, პარკებში, დენდროლოგიურ პარკებში და სხვაგან, მოსალოდნელია გაძლიერდეს ხანძრების გაჩენის საშიშროება, უმცირეს გაუფრთხილებლობას შეუძლია გამოიწვიოს ტყის ხანძარი და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს ეროვნულ დოვლათს. მოგმართავთ თხოვნით: ტყეში ყოფნისას დაიცავით სახანძრო უშიშროების წესები, ნუ გადააგდებთ ჩაუმქრალ ასანთს და სიგარეტის ნამწვავს, ნუ გამოიყენებთ ადვილად აალებად ხანძარსაშიშ ნივთიერებებს.

ტყეში ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩააქრეთ იგი, თუ ხანძარი ძლიერია, სასწრაფოდ შეატყობინეთ ადგილობრივ ტყის დაცვის მუშაკებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ან შესაბამისი რაიონის პრეფექტურას. გახსოვდეთ: ტყე ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა, მისი დაცვა და მოვლა ყველა მამულიშვილის ვალია.

**სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.**

## გაზეთი „იზვესტია“ — ჰოტენტოტების მორალი

**გაზეთმა** „იზვესტიამ“ გულისამაჩუყებელი თანაგრძნობა გამოიჩინა თავისი ქართველი მკითხველების მიმართ, რომლებმაც ვერ მიიღეს ამ გაზეთის 139-ე ნომერი. მაინც, რა მოხდა?

თბილისის სტამბის მუშები, სადაც იბეჭდება „იზვესტია“ და ცენტრის სხვა გაზეთები, აღაშფოთა „იზვესტიის“ მორიგმა გამოხდომამ საქართველოს და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ. კორესპონდენციის თავხედურმა ტონმა, და მათ უარი თქვეს გაზეთის ამ ნომრის დაბეჭდვაზე. უფრო მეტიც, განაცხადეს, რომ ამიერიდან უარს ამბობენ მოსკოვის იმ გაზეთების დაბეჭდვაზე, სადაც იქნება ანტიქართული გამოხდომები.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

სავსებით მართებულია!

აი, უკვე ხუთი წელია, რაც საქართველო და მისი ხალხი სულ უფრო მზარდი ანტიქართული კამპანიის ობიექტად იქცნენ, კამპანიისა, რომელმაც ბოლო ორი წლის მანძილზე რაღაც თავაშვებული ბაკქანალიის უპრეცედენტო, გაშმაგებული ხასიათი მიიღო. არ ყოფილა დღე, რომ მოსკოვის ერთ, ორ, ზოგჯერ რამდენიმე გაზეთშიც არ დაებეჭდათ და, რა თქმა უნდა, ცენტრალური ტელევიზიის სახელგანთქმული პროგრამა „ვრემიათი“ არ გადაეცათ საზიზღარი ცილისწამება, ფალსიფიკაციები, ზოგი ფაქტის დამახინჯება და ზოგის მიჩუმათება სამაჩაბლოს ამბების მიმართ, თვით იმპერიული ცენტრის მიერ რომ არის პროვოცირებული.

ამ საზიზღარ და ცრუ კამპანიაში, განსაკუთრებით საზიზღარში იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენი პასუხი, არც ერთი უარყოფა, არც ერთი დოკუმენტი, არავითარი ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური ცნობები მოსკოვის არც ერთ გაზეთში არ გამოქვეყნებულა, და ამ საქმეში „იზვესტიას“ უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს.

ეს კი იგივეა, რომ ხელფეხშეკრულ კაცს სცემდე!

მაინც, რა აწუხებს გაზეთ „იზვესტიას“? ის, რომ თბილისელი მბეჭდავები „საქართველოს მცხოვრებლებს, ამ გამოცემათა ხელისმომწერლებს ართმევენ უფლებას, თავად განსაჯონ ესა თუ ის პუბლიკაცია“. თურმე რა ცუდი ყოფილან ეს მბეჭდავები...

მაშინ რაღა ქნას მილიონობით ხელმომწერმა მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთ, რომლებსაც „იზვესტია“ და მისთანანი ართმევენ მოვლენათა ქართული ვერსიის გაცნობის უფლებას?

ნუთუ ეს არის სამართალი, პატიოსნება, ბოლოს და ბოლოს, სინდის-ნამუსი?

მტყუანთ, ჩვეულებრივ, უყვართ მსჯელობა სიმართლის თემაზე: როგორ უნდა გვესმოდეს სიმართლე, როგორ და ვინ ხედავს მას, როგორ გადმოსცემს, და ა. შ. და ა. შ., რითაც გამოუცდელი მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღებას არიდებენ ამ, არსებითად სრულიად მარტივ საკითხს, თუ ფილოსოფიურად არ ჩავუღრმავდებით პილატეს უკვდავ კითხვას („რა არის ჭეშმარიტება?“)! არამედ დავრჩით, ასე ვთქვათ, მიწიერნი, საღი აზრისა და აზრთა გულწრფელი გაზიარების ფარგლებში. ასე რომ, მართალია, როცა ამბობენ, თოვლი თეთრია და მჭვარტლი — შავიო, ზამთარი ზაფხულზე უფრო ცივიაო, გაზაფხულზე ხეები ფოთლებით იმოსება, შემოდგომაზე კი ფოთლები სცვივაო.

ეს არის და ეს.

მაშ, რაღაა სიცრუე? ო, ამ მხრივ მოსკოვის ინფორმაციის ორგანოების პრაქტიკა ურიცხვ მაგალითს გვაძლევს. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმეს. სიცრუე არის:

1. როცა იუწყებიან, რომ მოხდა სისხლიანი შეტაკებანი სამაჩაბლოში (ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“), და არ ამბობენ, რომ იგი წამოიწყეს ოსმა კომუნისტმა ექსტრემისტებმა.

2. როცა იუწყებიან, რომ ქალაქ ცხინვალში დაწვეს 76 სახლი, და „ავიწყდებათ“ აღნიშნონ, რომ აქედან 74 ქართველებს ეკუთვნოდა.

3. როცა ცხინვალში დამწვარი სკოლების შესახებ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ორივე ეს სკოლა (1-ლი და მე-4) ქართული იყო.

4. როცა იუწყებიან, რომ ვიღაც ოსი ყმაწვილები მხოლოდ სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებული, და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ოსი ექსტრემისტები უხვად არიან მომარაგებული (ვისგან? ისლანდიელებისგან? პარაგვაელებისგან?) ყველაზე თანამედროვე საარმიო იარაღით, და „დედამიწა-დედამიწა“ რაკეტებითაც კი, და რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები თავიანთი ჯავშანტრანსპორტიორებით, ვერტმფრინავებითა და სხვა საბრძოლო ტექნიკით აქტიურად ეხმარებიან მათ და ზოგჯერ უშუალოდაც მონაწილეობენ შეტაკებებში.

5. როცა ჩქმალავენ იმას, რომ იგივე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილები თავად ესხმიან თავს ქართულ სოფლებს და ებრძვიან ქართველთა თავდაცვის რაზმებს. გორის რაიონის სოფელ დვანში, რომელიც უკვე არანაირად აღარ არის „სამხრეთ ოსეთი“, დაწვეს და დაანგრიეს ორი უძველესი ქრისტიანული ტაძარი, რომლებსაც უდიდესი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულება ჰქონდა.

ასეთი რამ არც მონღოლებს, არც თემურლენგს არ უქნიათ!

6. როცა მილიონობით მკითხველს უმალავენ, რომ 1991 წლის 18 მარტს დილით ზეით-ერედვის გზაზე კომუნისტმა ოსმა ექსტრემისტებმა ხეს მიაბეს, ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს ოთხი ქართველი, სოფელ თამარაშენის მკვიდრნი (მათი გვარები ცნობილია).

7. როცა არამართლზომიერად აცხადებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1922 წელს უკანონოდ რომ გამოაცხადეს საქართველოს დამპყრობმა ბოლშევიკებმა (ცხინვალში მაშინ მხოლოდ 4 ოსური ოჯახი ცხოვრობდა), და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ეს იყო საპასუხო ღონისძიება თვითმარქვია ოსური ორგანოს ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებაზე საქართველოს შემადგენლობიდან გასვლისა და სსრ კავშირში, როგორც ცალკე რესპუბლიკის, შესვლის შესახებ.

8. როცა „იზვესტიამ“ თავის ფურცლებზე დაბეჭდა სიცრუისა და ცილისწამების ნაკადით აშკარად დეზინფორმირებული მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის „წერილი საქართველოს მორწმუნეებს“, და უარი თქვა დაებეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პასუხი.

მრავალგზის შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა გაზეთ „იზვესტიის“ „მკითხველთა უფლებების ქომაგებისადმი“ კითხვების ეს ნუსხა, მაგრამ ესეც საკმარისია.

სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება კარგია. იგი ნებისმიერი დემოკრატიული, სამართლიანი სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ საიდან უნდა იცოდეთ თქვენ, რომელთა მამაპაპანი ამართლებდნენ და იწონებდნენ ლენინის მხეცობას, სტალინის შემზარავ რეპრესიებს, ხრუშჩოვის დანაშაულობებს უნგრეთსა და თბილისში 1956 წელს და ნოვოჩერკასკში 1962 წელს, თქვენ, მონურად რომ უხრიდით ქედს მარაზმით შეპყრობილ ბრეჟნევს, თქვენ, რომ მიესალმებოდით დანაშაულებრივ შეჭრას ავღანეთში, ტაშს უკრავდით მის ანეგდოტურ თვითდაჯილდოებებს ნაირ-ნაირი ჩინ-მედლებით და ამავე დროს უსასტიკესად დევნიდით სხვაგვარად მოაზროვნეებს, საიდან უნდა იცოდეთ თქვენ, რომ სიტყვის თავისუფლება არ ათავისუფლებს პუბლიკაციის ავტორსა და გაზეთს იქ დაბეჭდილი ყოველი ფაქტის სარწმუნოებისათვის პასუხისმგებლობისაგან.

საბჭოთა პრესა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) იმ სახით, როგორითაც იჩენდა თავს მთელი ამ ათწლეულების მანძილზე და ახლაც იჩენს, სხვა არაფერია, თუ არა სიცრუის აკადემია, ისევე, როგორც საბჭოთა სინამდვილე სულ ამ ცოტა ხნის წინათ იყო უნამუსობის აკადემია. და, ვშიშობ, არაერთი თაობის ცხოვრება ჩაივლის, ვიდრე განვიკურნებოდეთ ამ სენისაგან.

ჯერჯერობით კი „იზვესტიის“ მსჯელობაში აშკარად გამოირჩევა ასეთი მოსაზრება:

„მე შენ ცილს გწამებ — ეს დასაშვებია, ეს კარგია (რადგან ამას ვშვრები მე, რადგან ასე მიბრძანეს, ეს ჩემთვის ხელსაყრელია); შენ არ მოგწონს, როცა ცილს გწამებენ — ეს ცუდია, რადგან ამით ხელს მიშლი“.

ასეთი მსჯელობა კი პრინციპულად არაფრით არ განსხვავდება ცნობილი ფორმულისაგან: „მე შენ მოგპარე — ეს კარგია; შენ მე მომპარე — ეს ცუდია“. ასეთია, როგორც ცნობილია, ჰოტენტოტების მორალი, როგორიც ხართ თქვენ, ბატონებო „იზვესტიიდან“, ზნეობრივი თვალსაზრისით!

**ლევან ხაინდრავა**

## რატომ არ დაიბეჭდა „იზვესტია“

**გაზეთი „იზვესტია“ 75 ათასიანი ტირაჟით გამოდის გამომცემლობა „სამშობლოში“. 18 და 14 ივნისის ნომრები თბილისში არ დაიბეჭდილა. რა მოხდა, რა მიზეზით ჩავარდა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ორგანოს ნომრები, ამის თაობაზე ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორს, ვახტანგ ესვანჯიას.**

— როგორც კი ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ოფსეტური ბეჭდვის საამქროს მუშებმა უარი განაცხადეს 13 ივნისის გაზეთ „იზვესტიის“ დაბეჭდვაზე, — განაცხადა მან, — ადგილზე გავემგზავრე, შევხვდი მუშებს, მათ მიზეზად დაასახელეს ნ. ანდრეევის პასკვილი „საქართველო, 1991 წლის ზაფხული“.

და ბუნებრივია, მუშებმა ასეთი კოლექტიური განცხადებით მომმართეს, — განაგრძობს ვ. ესვანჯია, — „გუშინ, 12 ივნისს გაზეთ „იზვესტიის“ (№ 139) ბეჭდვის დაწყების წინ, სასიგნალო ეგზემპლარის ნახვისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტატიამ სათაურით — „საქართველო, 1991 წლის ზაფხული“. სტატია წავიკითხეთ და აღშფოთებული დავრჩით ავტორის ტენდენციურობით, ცინიზმით, იმით, რომ მასში უხეშად შეურაცხყოფენ საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას. ეს არის არა მარტო პრეზიდენტის, არამედ მთელი ქართველი ხალხის შეურაცხყოფა. აღნიშნული სტატია აგრძელებს პასკვილების იმ სერიას, რომლებიც გადმოიცემა ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებით და უკიდურესად აღაშფოთებს საქართველოს რესპუბლიკის ყოველ პატიოსან მოქალაქეს. პროტესტის ნიშნად, ჩვენ უარს ვაცხადებთ „იზვესტიის“ დღევანდელი ნომრის ბეჭდვაზე, ამასთან კატეგორიულად მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ შეწყდეს ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის მიერ მსგავსი ცილისწამებათა გამოქვეყნება და ვიტოვებთ უფლებას, არ დავბეჭდოთ ის გაზეთები, რომლებიც ადგილს დაუთმობენ ქართველი ხალხისა და მისი კანონიერი პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ მასალებს, ყოველივეს ვადასტურებთ, ჩვენი ხელის მოწერით (ხელს აწერს 19 კაცი)“.

მუშათა განცხადების ფაქსი იმ დღესვე გავუგზავნე გაზეთ „იზვესტიის“ მთავარ რედაქტორ ეფიმოვს, თან ჩემდათავად ვწერდი, რომ მორიგ ნომერში აუცილებლად გამოექვეყნებინათ აღნიშნული განცხადება, მაგრამ რა მოხდა, მეორე დღეს ე. ი. 14 ივნისს „იზვესტიის“ სასიგნალოში ვკითხულობთ რეპლიკას: „რატომ არ გამოვიდა საქართველოში „იზვესტიის“ ნომერი“. აი მისი ბოლო აბზაცი: „კვლავ ვიგებთ მწარე ჭეშმარიტებას. საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაციის ობიექტური ანალიზის ყოველი ცდა გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. ვაი, რომ ტოტალიტარიზმი ჯერაც არ ჩაბარებია წარსულს, რა სამოსითაც გინდა ინიღბებოდეს დღეს“. ამგვარი რეპლიკის შემდეგ მუშებმა კვლავ უარი განაცხადეს ამ გაზეთის 14 ივნისის ნომრის დაბეჭდვაზე, ამის თაობაზე ისევ ფაქსით ვაცნობეთ მთავარ რედაქტორს. 15 ივნისს ნება იბოძეს და დაბეჭდეს მუშათა კოლექტიური განცხადება.

15 ივნისიდან განახლდა „იზვესტიის“ ბეჭდვა, აქ დაბეჭდილი გამომცემლობა „სამშობლოს“ მუშების კოლექტიური განცხადება გარკვეულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს — იგი ქართველი ხალხის ნებას და სულისკვეთებას აცნობს მილიონობით მკითხველს.

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

**ვაჭრობის** წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1 მუხ. 10).

1. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 165-ე მუხლი.

2. $169^{3}$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $169^{3}$. ვაჭრობის წესების დარღვევა**

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

იგივე მოქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან არაერთგზის, ანდა დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით".

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის დიდი ოდენობით გაყიდვად და გადამალვად ჩაითვლება არანაკლებ ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ორი ათასი მანეთის ღირებულების სხვა საქონლის გაყიდვა და გადამალვა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ ორი ათას ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ათი ათასი მანეთის ღირებულების საქონლის გაყიდვა და გადამალვა.

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $169^{6}$ და $169^{7}$ მუხლები:

**„მუხლი $169^{6}$. ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება**

სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება გადამყიდველების ან სხვა პირების მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან ძალადობით ან ასეთის გამოყენების მუქარით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ჯარიმით ათი ათას მანეთამდე"

**„მუხლი $169^{7}$. უკანონო სავაჭრო საქმიანობა**

უკანონო სავაჭრო საქმიანობა, ე. ი. საქონლის შესყიდვისა და გაყიდვის გარიგების განხორციელება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე, სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდება მოგების მიღების მიზნით, თუ ეს მოქმედება ჩადენილია ვაჭრობის სფეროში წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ანდა დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით, ანდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით თხუთმეტი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით".

**შენიშვნა:** სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით დიდი ოდენობის მოგებად ჩაითვლება თანხა არანაკლებ სამი ათასი მანეთისა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ თხუთმეტი ათასი მანეთისა.

4. 229 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 229. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და გასაღება**

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით".

5. $8^{1}$ მუხლის მეორე ნაწილსა და 44-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სპეკულაცია (165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)" შეიცვალოს სიტყვებით „ვაჭრობის წესების დარღვევისათვის ($169^{3}$ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)".

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით" და „$169^{3}$"; მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით", ხოლო სიტყვების „169-ე მუხლის მეორე ნაწილით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „$169^{3}$ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, $169^{6}$, $169^{7}$ მუხლებით".

2. მე-400 მუხლში სიტყვების „$169^{1}$ მუხლით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „$169^{3}$ მუხლის პირველი ნაწილით".

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ, № 12, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 153-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 153. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ ვაჭრობის წესების დარღვევა**

მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ან კოოპერატივებში დადგენილი საცალო ფასების გადამეტებით იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც გამოყოფილია საბაზრო ფონდიდან ან შეძენილია საცალო ქსელში, —

გამოიწვევს ფასების აწევის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირის დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განმეორებით,— გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათას მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით".

2. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 159-ე მუხლი.

3. 205-ე მუხლში რიცხვები „143-153" შეიცვალოს რიცხვებით „143-152".

4. 208-ე მუხლში რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

5. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი: „153-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს შეადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირები ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები".

6. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში რიცხვი „159-ე" შეიცვალოს რიცხვით „153-ე".

7. 262-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „45-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

8. 269-ე მუხლში რიცხვი „159-ე" შეიცვალოს რიცხვით „153-ე".

9. 279-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

10. 295-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

IV. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 15 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლისა და „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების გამოყენების წესის თაობაზე".

V. შეწყდეს წარმოებით საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოებში არსებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეები და მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.

გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები.

VI. ეს კანონი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

---

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე

**„საქართველოს** რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ" (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 2 თებერვლის ბრძანებულების პირველი მუხლი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 2, მუხ. 32).

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

---

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ

### თავი I

### საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

**მუხლი 1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა**

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის გამო:

1) სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის დარღვევისათვის;

2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

**მუხლი 2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების კომპეტენცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

**მუხლი 3. დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება**

დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეების, წევრებისა და საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს — შესაბამისი სასამართლოების წევრებისა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს — შესაბამისი რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

**მუხლი 4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადები**

მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს გადაცდომის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სამსახურებრივი შემოწმების დროისა და საპატიო მიზეზით მოსამართლის სამუშაოზე არყოფნის ჩაუთვლელად, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა გადაცდომის ჩადენის დღიდან.

**მუხლი 5. დისციპლინური საქმის აღძვრის წესი**

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირი წინასწარ ამოწმებს მასალებს, რომლებიც მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს შეეხება, და მოითხოვს მისგან წერილობით ახსნა-განმარტებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები გამოსცემენ ბრძანებას.

დადგენილებასა და ბრძანებაში უნდა აღინიშნოს დისციპლინური საქმის აღძვრის წინასწარი შემოწმებით დადგენილი საფუძველი. დადგენილება ან ბრძანება სათანადო მასალებთან ერთად განსახილველად ეგზავნება მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კოლეგიას.

დისციპლინური საქმის მასალების საკვალიფიკაციო კოლეგიაში გადაგზავნამდე მათ უნდა გაეცნოს მოსამართლე, რომლის მიმართაც იგი აღიძრა. ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი ახსნა-განმარტებანი ან აღძრას შუამდგომლობა საქმის დამატებით შემოწმების შესახებ.

**მუხლი 6. დისციპლინური საქმის გამოთხოვა**

დადგენილება ან ბრძანება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გამოითხოვოს საქმის აღმძვრელმა პირმა საკვალიფიკაციო კოლეგიაში საქმის განხილვის დაწყებამდე.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ან ბრძანების გამოთხოვა ხდება, უფლება აქვს მოითხოვოს საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ საქმის არსებითი განხილვა.

**მუხლი 7. საქმის მომზადება საკვალიფიკაციო კოლეგიაში განსახილველად**

საქმის განხილვამდე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის დამატებითი შესწავლა, რასაც კოლეგიის თავმჯდომარე ავალებს კოლეგიის ერთ-ერთ წევრს. ამასთან, თუ საჭიროა, ხდება დამატებითი მასალებისა და საბუთების, აგრეთვე იმ სასამართლო საქმეების გამოთხოვა, რომელთა განხილვის დროს მოსამართლემ დაუშვა კანონის დარღვევა.

**მუხლი 8. საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობა დისციპლინური საქმის განხილვის დროს**

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეებს განიხილავს მის წევრთა არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც წყვეტს კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

**მუხლი 9. დისციპლინური საქმის განხილვის ვადები**

დისციპლინური საქმე განიხილება საკვალიფიკაციო კოლეგიაში მისი შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 10. საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მონაწილე პირები**

საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვისას დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის დასწრება აუცილებელია; არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე განიხილება მის დაუსწრებლად.

საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს დისციპლინური საქმის აღმძვრელ თანამდებობის პირს ან მის წარმომადგენელს.

**მუხლი 11. დისციპლინური საქმის განხილვის წესი**

თავმჯდომარე სხდომას გახსნილად აცხადებს და აცნობს დამსწრეთ საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობას. მოსამართლეს შეუძლია საქმის განხილვამდე საკვალიფიკაციო კოლეგიის წევრებს მისცეს აცილება, რაც უნდა განიხილოს კოლეგიის შემადგენლობამ.

დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კოლეგიის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირს უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. მოსამართლის ახსნა-განმარტების მოსმენა აუცილებელია.

სხდომის მსვლელობის დროს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს ნებისმიერ მომენტში განაცხადოს შუამდგომლობა ან მისცეს დამატებითი ახსნა-განმარტება. კოლეგიის შეხედულებით შეიძლება მოსმენილ იქნეს როგორც მოსამართლის, ასევე კოლეგიის ინიციატივით მოწვეული სხვა პირთა ინფორმაციები, გამოქვეყნდეს დოკუმენტები და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი სხვა მასალები.

გადაწყვეტილება გამოაქვთ სათათბირო ოთახში.

კოლეგიის სხდომაზე წერენ ოქმს.

**მუხლი 12. გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე**

საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია გამოიტანოს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

— დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;

— დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ;

— დისციპლინური საქმის მასალების იმ ორგანოსათვის გადაცემის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია დასვას საკითხი მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

კოლეგიას შეუძლია შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელის დადება:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური.

სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი და მისი შედეგები, გადაცდომის სიმძიმე, მოსამართლის პიროვნება და მისი ბრალის ხარისხი.

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეს შეწყვეტს:

— მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის დაუსაბუთებლობის გამო;

— დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემთხვევაში;

— დისციპლინური სასჯელის დადების მიზანშეუწონლობის დროს, იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მასალების მხოლოდ სხდომაზე განხილვით შემოფარგვლა.

საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**მუხლი 13. გადაწყვეტილების გამოტანის წესი**

გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მიიღება განხილვის მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ჩამოყალიბდება წერილობით; მას ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები.

კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და დარჩა უმცირესობაში, ხელს არ აწერს კოლეგიის გადაწყვეტილებას და წერილობით ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საქმეს თან ერთვის.

გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე აცხადებენ საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე.

**მუხლი 14. გადაწყვეტილების შინაარსი**

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის დასახელება, მისი შემადგენლობა, საქმის განხილვის ადგილი და დრო; დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა; დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის თანამდებობა და გვარი; საქმის გარემოებანი; მოსამართლის ახსნა-განმარტება და მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები; მიღებული გადაწყვეტილების მოტივირება მტკიცებულებათა მითითებით; დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის საფუძველი.

**მუხლი 15. გადაწყვეტილების პირის გაგზავნა**

დისციპლინურ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების პირი მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში გაეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირსა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

გადაწყვეტილების პირი ერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

**მუხლი 16. დისციპლინური საქმის განახლება**

თუ ორგანო, რომლის წინაშეც საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაყენებულია მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი, ვერ ნახავს საამისო საფუძველს, მაშინ დისციპლინური საქმე დაუბრუნდება საკვალიფიკაციო კოლეგიას და განახლდება, კოლეგიის პირვანდელი გადაწყვეტილების გამოტანიდან მასალების დაბრუნებამდე გასული დრო არ შედის ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადებში.

**მუხლი 17. დისციპლინური სასჯელის მოხსნა**

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ითვლება დისციპლინური სასჯელის არმქონედ.

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის წარდგინებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით დისციპლინური სასჯელის დამდებ საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია სასჯელის დადების დღიდან არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ვადამდე მოუხსნას სასჯელი მოსამართლეს უმწიკვლო ყოფაქცევისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის.

### თავი II

### მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება

**მუხლი 18. მოსამართლისა და მსაჯულისათვის უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევა**

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს გაიწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, წევრებს და მსაჯულებს გაიწვევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და წევრებს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს გაიწვევს მისი ამრჩევი ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს გაიწვევს იმ შრომითი კოლექტივის მოქალაქეთა კრება, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

**მუხლი 19. გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხის აღძვრის უფლება**

გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის;

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულების, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებისა და მსაჯულების მიმართ კანონის უხეში დარღვევისა და მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით — შესაბამისი რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა და მსაჯულთა მიმართ კანონის უხეში დარღვევისა და მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის;

შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა კრებებს — მათ მიერ არჩეული რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის.

**მუხლი 20. გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკითხის აღძვრის წესი**

პირი, რომელიც აღძრავს საკითხს გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ, ორგანიზაციას უწევს იმ მასალების შესწავლის საქმეს, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას, აცნობებს მოსამართლეს ან მსაჯულს მათი გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხის აღძვრისა და მოტივის შესახებ და მოითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას.

მასალები, რომელთა საფუძველზეც აღიძრა მოსამართლის გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხი, დასკვნისათვის გადაეგზავნებათ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრების მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრებისა და შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

**მუხლი 21. მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ წარდგინების შეტანის წესი**

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებისა და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

წარდგინება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრებისა და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად შეაქვთ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

წარდგინებას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის აზრის გათვალისწინებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები წარადგენენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებში.

წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში, რომელმაც ისინი აირჩია.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის გაწვევის შესახებ წარდგინებას განიხილავენ შრომითი კოლექტივის კრებაზე სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს მსაჯულად. გადაწყვეტილებას მსაჯულის გაწვევის შესახებ იღებენ ღია კენჭისყრით ხმის უმრავლესობით. კრებაზე მსაჯულის დასწრება, რომლის გაწვევის საკითხიც წყდება, სავალდებულოა.

მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევის დამოუკიდებელ საფუძველს.

**მუხლი 22. მოსამართლეებისა და მსაჯულების ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები**

მოსამართლეები და მსაჯულები თავიანთი მოვალეობების შესრულებისაგან შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

პირადი სურვილით.

**მუხლი 23. ვადამდე გათავისუფლების წესი**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და მსაჯულებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და წევრებს, რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებისა და მსაჯულების ვადამდე გათავისუფლების შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სხვა მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ — სასამართლოების თავმჯდომარეებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით; ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულის ვადამდე გათავისუფლების შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში, რომელმაც იგი აირჩია.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის ვადამდე გათავისუფლების შესახებ წარდგინება შეაქვს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს მსაჯულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

1991 წლის 11 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვინმე გია ფხოველიშვილის ცილისმწამებლური სტატია „ალიანსი რვაფეხასთან“.

წერილის ავტორი დასაწყისში ზოგადად მიმოიხილავს „კანონიერი ქურდობის“ ისტორიას, აცხადებს, რომ საჭიროა დანაშაულებრივ სამყაროსთან ბრძოლა, ასახელებს ბოროტმოქმედების ცალკეულ ფაქტებს და... შემდეგ იწყება რაც იწყება. თურმე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ალიანსში იმყოფება დანაშაულებრივ სამყაროსთან და საჭიროა ამ დანაშაულებრივი ალიანსის მხილება და ბოროტმოქმედთა დასჯა.

ამ „ვერსიის“ გასამაგრებლად სტატიაში ფიგურირებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის ვახტანგ ტალახაძისა და მისი ძმის სახელი, რითაც უნდა მომზადდეს საზოგადოებრივი აზრი და ოპოზიციური . პარტიის შემდგომი რეპრესირებაც „გამართლებული“ უნდა გახდეს.

უნდა განვაცხადოთ, რომ თემურ ტალახაძეს თვითნაკეთი ხელყუმბარა თვით მილიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს ჯიბეში და მრავალი მოწმე არსებობს იმ ფაქტის, თუ მილიციელები როგორ უტენიდნენ ჯიბეში თემურ ტალახაძეს ხელყუმბარას (აღსანიშნავია, რომ ჯიბე პატარა აღმოჩნდა, ხელყუმბარა მაინც ვერ ჩატიეს ჯიბეში და შარვალი გახიეს).

რაც შეეხება ტალახაძეების ბინაში ნაპოვნ ფულს, წერილის ავტორი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ ამ ფულთან ერთად კიდევ რა იქნა ნაპოვნი ბინის ჩხრეკის დროს. ფულთან ერთად იქ იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის 8 წარმომადგენლის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში დამოწმებული საბუთები კონგრესის დელეგაციის აშშ-ში გასამგზავრებლად, ასე რომ, ტალახაძეების ბინაში ნაპოვნი თანხა ეკუთვნის გიორგი ჭანტურიას, ირაკლი ქადაგიშვილს, ირინა სარიშვილს, თემურ ფიფიას, ივლიანე ხაინდრავას, ვლადიმერ კილასონიას, რუსლან მიქაბერიძეს და გიორგი კობახიძეს.

რაც შეეხება „სი-ეს-ის“ გაზის ერთ ბალონს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ტალახაძეს ეკუთვნოდა (არადა, ეს ასე არ არის!), არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში ის მუხლი, რის ძალითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი დაპატიმრება. ასე რომ, ვახტანგ ტალახაძე უკანონოდ არის დაპატიმრებული.

ვახტანგ ტალახაძე იმ მიზეზით არის დაპატიმრებული, რა მიზეზითაც მედროვე ფხოველიშვილის სტატია დაბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკამ“ — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომპრომეტირება, ხალხისთვის ამ უძველესი ტრადიციების ოპოზიციური ორგანიზაციის შეძულება და რეპრესიებისათვის (უკვე დაწყებულის) ნიადაგის მომზადება.

გაზეთის რედაქციას უდანაშაულობის პრეზუმპციის არსებობას და სასამართლომდე მსგავსი წერილების დაბეჭდვის მიზანშეუწონლობას არ შევახსენებთ (ამას აზრი არ ექნებოდა), ერთს კი განვაცხადებთ: ვერავინ ვერ დაასახელებს ერთ შემთხვევასაც კი, რაც ედპ-ს „რვაფეხასთან ალიანსს“ დაადასტურებდა, ჩვენ კი შეგვიძლია ათეულობით ფაქტის დასახელება, თუ „მრგვალი მაგიდის“ ზოგი ორგანიზაცია რა ხახის სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიოდა (და ჩადის)...

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ მამუკა ფაჩუაშვილს

**თანახმად** თქვენი შეკითხვისა გაცნობებთ, რომ ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ვახტანგ ავთანდილის ძე ტალახაძის მიმართ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252 მუხლის მეექვსე ნაწილით, რომელსაც ბრალი დაედო მასში, რომ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ძლიერ მომქმედ შხამიან ნივთიერება „სი-ეს-ის“ გაზს.

ვ. ა. ტალახაძეს ა/წლის 8 ივნისს წარედგინა ბრალდება საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 252 მუხლის მეექვსე ნაწილით, იგი აყვანილია წინასწარ პატიმრობაში და მიმდინარეობს გამოძიება.

**ქ. რუსთავის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ხ. ვ. მაჰავარიანი.**

**რედაქციისაგან: როგორც ქ. რუსთავის პროკურორმა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებმა გვითხრეს, ისინი მზად არიან, დაკითხონ ნებისმიერი მოწმე, გაითვალისწინონ ნებისმიერი ახალი ფაქტი. ისე რომ, „პასუხების“ წერას, სჯობს, გამოძიებას დაველოდოთ და თუ ვინმემ რამე იცის ამ საქმის შესახებ, პროკურატურას მიმართოს. წერით ყველაფრის დაწერა შეიძლება და ყველაფრის დაბრალება, მთავარი ფაქტებია.**

# ნუ გავაყალბებთ ისტორიას

### პასუხის პასუხი ი. ქადაგიშვილს

**წავიკითხე** თქვენი პასუხი ჩემს გამოხმაურებაზე, სადაც თქვენმა ურცხვობამ მართლაც რომ კულმინაციას მიაღწია. პასუხი იმის გამო დამიგვიანდა, რომ ვაგროვებდი საჭირო მასალებს. თურმე ნოემბრის შიმშილობის აქცია კოლხურ კოშკში არ დაგეგმილა, რას იზამთ, მერაბ კოსტავა ცოცხალი აღარ არის და დანარჩენი მოწმეები კი, ჩემს გარდა დღეს თქვენი ამფსონებია. თურმე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1981 წელს შექმნილა: დამფუძნებელიც თქვენ ბრძანდებით და მოწმეებიც. 12 ნოემბრის მიტინგთანაც თურმე არაფერი ჰქონია საერთო ბ-ნ ზვიადს, 1988 წლის 14 აპრილის მიტინგს არ დასწრებია, არც 1988 წლის 26 მაისს (ალბათ „შეეშინდა“). თქვენთან დოკუმენტების გარეშე კამათს არავითარი აზრი არა აქვს, ამიტომ გიქვეყნებთ დოკუმენტებს, სადაც თქვენი ლიდერის ხელმოწერებიც არის, რათა ერმა კიდევ ერთხელ დაინახოს თქვენი სიცრუე. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დამფუძნების დეკლარაციის ეგზემპლარი სამწუხაროდ მხოლოდ რუსული შემომრჩა და იმას ვაქვეყნებ (ქართულს, რა თქმა უნდა, თქვენ დამალავთ). თუმც თქვენგან, რასაკვირველია, ისევ უარყოფას მოველი. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1988 წლის აგვისტოში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან ორგანიზაციულ მთლიანობაში, რომლის საკოორდინაციო ცენტრმაც გამოაქვეყნა დეკლარაცია მისი შექმნის მიზეზების შესახებ. მერაბ კოსტავა ადასტურებდა, რომ იგი იყო თანაავტორი ამ იდეისა და რომ ეს მოხდა რიგიდან თბილისს მომავალ მატარებელში, საიდანაც ბრუნდებოდნენ იმჟამად მ. კოსტავა, გ. ჭანტურია და სხვები. თუმც შემდეგ გ. ჭანტურიას არ მოეწონა ახალგაზრდა ასაკი თავისი პარტიისა და მოიგონა ვერსია მისი ვითომდაც იატაკქვეშეთში არსებობისა 1981 წლიდან.

თქვენ წერთ 1988 წლის 14 აპრილს და 26 მაისს ზვიად გამსახურდია არ მონაწილეობდაო დემონსტრაციებში(!). ნუ გგონიათ იმდენად გულმავიწყი ჩვენი ხალხი, რომ არ ახსოვდეს თუ რა მძიმედ იყო ავად 27 დღის ნაშიმშილევი ზვიად გამსახურდია 1988 წლის 14 აპრილს, რომელმაც 6 აპრილს შეწყვიტა შიმშილობა და ექიმები ჯერაც უკრძალავდნენ გარეთ გამოსვლას. სხვათა შორის გ. ჭანტურია და ი. სარიშვილი მას „თავს დასტრიალებდნენ“ იმჟამად, ვითომდაც „გულშემატკივრებად“, თუმც შემდეგ გაირკვა, რა გულშემატკივრებიც ყოფილან! ხოლო 1988 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდიას მოსკოვში ყოფნას სიამოვნებით დაადასტურებს ამერიკის ექს-პრეზიდენტი რეიგანი და მისი ყოფილი სახელმწიფო მდივანი შულცი, რომელთაც იგი სწორედ იმ დროისათვის მოსკოვში მიიწვიეს შეხვედრაზე, რაც თქვენ დღემდე ვერ მოგინელებიათ. ასე რომ, წყალს ნუ ამღვრევთ, ყველამ კარგად იცის, რატომ არ ესწრებოდა ბ-ნი ზვიადი ამ ორ დემონსტრაციას. თქვენ ამტკიცებთ, ზვიად გამსახურდია არ მონაწილეობდაო იმჟამინდელ მიტინგებში, ან დამოუკიდებლობის ლოზუნგების წინააღმდეგი იყოო.—იქნებ ამიხსნათ, 1988 წლის 8 ოქტომბრის იპოდრომის მიტინგის მომწყობთა შორის ყველაზე დიდი ჯარიმით რატომ დასაჯეს იგი? ან რატომ დააკავეს ბათუმში ოჯახითურთ 1988 წლის 21 ოქტომბერს, თბილისში 1989 წლის 25 თებერვალს, ხოლო 1989 წლის 9 აპრილის გამო აღძრულ საქმეში რატომ არის მასზე ყველაზე მეტი მასალა და რატომ არის მასზე სიმძიმის ცენტრი გადატანილი?

ან იქნებ ისიც უარყოთ, რომ იმჟამინდელ ილია ჭავჭავაძის (იგივე ილია მართალის) საზოგადოებას თქვენი პარტია 1988 წლის დეკემბრის დასაწყისში გამოეყო, როდესაც გლდანში „მოეწყო მისი დამფუძნებელი ყრილობა“? იქნებ არც მერე გადაიქცა „მეოთხე დასი“ მარტოოდენ ახალგაზრდულ ორგანიზაციად ანუ თქვენებურ კომკავშირად და ჰიტლერ იუგენდად, რომელმაც მრავალი გამოუცდელი ახალგაზრდა მოწამლა და გზას ააცდინა?

საერთოდ, თქვენი პარტიისა და მეოთხე დასის მხილება წინ არის, ქართველი ხალხი თქვენ პასუხს მოგთხოვთ 24-ე რეზოლუციისთვის, საზღვარგარეთ ქართველი ერის დისკრედიტაციისთვის კრემლთან ერთად, მის უბოროტეს მტერთან ალიანსისათვის. აქ მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, საერთოდ კი, „ეროვნულ-დემოკრატიულის“ სახელწოდება ნამდვილად არ შეეფერება თქვენს პარტიას, მე მგონი დროა მას უწოდოთ „ერთი ადამიანისადმი სიძულვილისა და ღვარძლის ნთხევის პარტია“, „საკუთარი ერის დისკრედიტაციისა და გაშავების პარტია“, „კრიმინალებთან ალიანსის პარტია“ და ა. შ. თქვენი მთავარი კომიტეტის წევრის, ვ. ტალახაძის „მოღვაწეობაც“ საუკეთესოდ ასახავს თქვენი პარტიის რაობას: „სი-ეს-ის“ ბალონებით, ყუმბარებით, ავტომატებით შეიარაღებული კრიმინალებისათვის პოლიტიკური შირმის შექმნა, უცხოეთის საზოგადოების დეზინფორმირება, აი, თქვენი საქმიანობა დღეს.

ახლა შეგახსენებთ კიდევ ზოგიერთ გარემოებას. როდესაც თქვენი პარტიიდან გარიცხეთ ირაკლი წერეთელი, ამ ფაქტით შეურაცხყოფილმა, ვაჟა მთავრიშვილთან ერთად (სხვათაშორის ამ პარტიის წესდება და პროგრამა მთავრიშვილის მიერ იყო შედგენილი, იგი იყო ამ პარტიის მთავარი იდეოლოგი) შექმნა ახალი პარტია, რომელსაც უწოდეს „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“. მერე რაღაც ვერ გაიყვეს ირაკლი წერეთელმა და ვაჟა მთავრიშვილმა, რაც იმით დამთავრდა, რომ გაბუტულმა ვაჟა მთავრიშვილმა შექმნა ახალი პარტია, რომელსაც უწოდა „ეროვნული“ დამოუკიდებლობის პარტია დემოკრატთა“. ამ პარტიის აქტიური წევრი იყო ვახტანგ ტალახაძე, ვაჟასა და ვახტანგს შორის კონფლიქტებმა (ავი ენები ამბობენ, ფული ვერ გაიყვესო) წარმოშვა კიდევ ერთი პარტია, რომელსაც უწოდა „მოქალაქეთა ლიგა“. მას სათავეში ჩაუდგა ვაჟა მთავრიშვილი, „ედპდ“-ს თავკაცად დარჩა ვახტანგ ტალახაძე. როგორც გავიგე ამჟამად ეს პარტია შეუერთდა „ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას“. ყოველივე ამის გახსენება იმისათვის დამჭირდა, რომ ამ პარტიებისა და სხვა პარტიების შექმნა აუცილებლობით არ იყო განპირობებული, არამედ მათი შექმნის მოტივი ან ერთმანეთთან ქიშპი იყო, ან ანგარება, ან ამბიციები. ეროვნული მოძრაობის იდეის მატარებლები საქართველოში ზვიადი და მერაბი იყვნენ და დღესაც ასეა. ასე ფიქრობს სრულიად საქართველო, ამის დასტურად 26 მაისს ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნებიც იკმარებდა. ამ პარტიების „მოღვაწეობის“ ანალიზი მომავლისათვის მიგვინდვია, ჩვენ კი ერთხელ კიდევ გვინდა გავაფრთხილოთ ირაკლი ქადაგიშვილი და მისი თანამოაზრეები, რომ გონს მოეგონ, ნუ უპირისპირდებიან ქართველ ხალხს, მის მიერ არჩეულ პრეზიდენტს.

თერთმეტ ივნისს თქვენი ჩამოსვლა ქ. რუსთავში, ხომ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ ვის უჭერთ მხარს: ქურდებისა და მათი დედების მცდელობას, რათა ჩაეტარებინათ მიტინგი ქ. რუსთავის მილიციისა და მისი უფროსის საწინააღმდეგოდ, რამაც ქალაქის მოსახლეობის კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ყოველივე ამან თქვენ კვლავ არაფერში დაგარწმუნათ, რუსთაველები კი ერთხელ კიდევ გაერკვნენ თქვენს ვინაობაში. ვის უფლებებს იცავთ, და ვის უფლებებს თელავთ ფეხქვეშ. ბედი თქვენი, რომ რუსთაველთა აღშფოთებულ მოსახლეობას არ გაუგონია ირაკლი ქადაგიშვილის უხამსი, შეურაცხმყოფელი სიტყვები საქართველოს პრეზიდენტის მისამართით, რომელიც ყარგონით წარმოითქვა ჩემს კაბინეტში, თორემ დარწმუნებული იყავით, ისინი მხოლოდ კაბინეტიდან გაგდებით არ დაკმაყოფილდებოდნენ.

მჯერა მომავალი უფრო ობიექტურად შეაფასებს თქვენს „საგმირო საქმეებს“. ახლა კი მხოლოდ წარსულს გაგახსენებთ დოკუმენტურად. თუმც შესაძლოა, ამ დოკუმენტების ნამდვილობაც უარყოთ. ისე, როგორც ამას წინათ უარყავით თქვენი ლიდერის ხელით „სუკში“ დაწერილი ვალდებულებანი.

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი 1976 წლიდან.**

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოების- IV დასის განცხადება

**ჩვენ,** ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ორი ნაწილი — IV დასი და ეროვნული ფრონტი, ვაცხადებთ, რომ ჩვენ გვაქვს ერთიანი პოზიცია, ერთი მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი ერთი გზა, რის გამოც ვთვლით, რომ საჭიროა ჩვენი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთიანობა.

I. არც ერთი ნაწილი არ უერთდება მეორეს, არამედ ხდება ორივე ნაწილის ერთ ორგანიზაციად გაერთიანება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე.

II. საზოგადოების სახელწოდება არ იქნება შეცვლილი. გაერთიანებული საზოგადოება ატარებს შემდეგ სახელს: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დასი.

III. საზოგადოების მმართველ ორგანოს ეწოდება საკოორდინაციო ცენტრი და გაერთიანების შემდეგ ცენტრის წევრთა რიცხვი იქნება ცხრა.

IV. საზოგადოებას გააჩნია ხუთი სექცია:

საეკლესიო საქმეთა — გ. ჭანტურია

ადამიანის უფლებების დაცვის — მ. კოსტავა, ი. ბათიაშვილი

ეროვნული უფლებების დაცვის — ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი

კულტურულ-ეკოლოგიური — თ. ჯანელიძე, ლ. გოშაძე

დამოუკიდებელი პროფკავშირების — ვ. ხუხუნაიშვილი

ა. საკოორდინაციო ცენტრის წევრი არკადი მარკოზია არის საზოგადოების გაგრა-სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელი.

ბ. საკოორდინაციო ცენტრის წევრი იასონ ფავლენიშვილი არის მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე.

გ. დავით კიკნაძე არის სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე.

დ. ირინა სარიშვილი არის საზოგადოების ხაზინადარი.

V. საკოორდინაციო ცენტრის წევრები არიან: ბათიაშვილი ირაკლი, გამსახურდია ზვიადი, კოსტავა მერაბი, მარკოზია არკადი, ფავლენიშვილი იასონი, წერეთელი ირაკლი, ჭანტურია გიორგი, ხუხუნაიშვილი ვანო, ჯანელიძე თეიმურაზი.

VI. საზოგადოებას გააჩნია სამი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი — „მოამბე“, „მატიანე“, „საქართველო“ და ერთი საინფორმაციო გაზეთი — „ქართული ქრონიკა“.

VII. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დასი არის ერთი და არც ერთ სხვა საზოგადოებასა თუ პირთა ჯგუფს არა აქვს ამ სახელის ტარების უფლება.

ღვთისა და ერის წინაშე ვადასტურებთ ამ განცხადების სისწორესა და შეუცვლელობას ხელმოწერებით:

ი. ბათიაშვილი– ზ. გამსახურდია– მ. კოსტავა–
ა. მარკოზია– ი. ფავლენიშვილი– ი. წერეთელი–
გ. ჭანტურია– ვ. ხუხუნაიშვილი– თ. ჯანელიძე–

1988 წლის 20 აგვისტო, თბილისი

# წმ. ილია მართლის (ი. ჭავჭავაძის) საზოგადოების- IV დასის საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

**1988 წლის** 8 მაისს გაიმართა წმ. ილია მართლის საზოგადოების (IV დასის) საერთო კრება, რომელსაც დაესწრო თბილისიდან, ქუთაისიდან, თერჯოლიდან, ტყიბულიდან, რუსთავიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული 48 აქტივისტი.

საერთო კრებამ დაამტკიცა წმ. ილია მართლის საზოგადოების მეორე სახელწოდება — „IV დასი“. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ამიერიდან გამგეობას ეწოდოს საკოორდინაციო ცენტრი.

ხმის უმრავლესობით საერთო კრებამ მიიღო რეზოლუცია გამგეობის ერთ ნაწილზე, შტრაიკბრეხერთა ჯგუფზე, რომელშიც შედიან: გ. მამულია, ზ. ჭავჭავაძე, ტ. არდაშელია, ჯ. კოპალიანი, მ. ქურდიანი. ესენი საზოგადოებიდან გარიცხული არიან ისე, რომ აღდგენის უფლება არა აქვთ. თ. ჩხეიძეს და კიდევ ორ პიროვნებას თავიანთი პოზიციის გასარკვევად ვადა მიეცათ, მაგრამ ამის სანაცვლოდ თ. ჩხეიძემ გააქტიურა გამგეობიდან გარიცხულებთან თანამშრომლობა და საკოორდინაციო ცენტრის წევრთა წინააღმდეგ ცილისმწამებლური პასკვილი შეთითხნა, რითაც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის პოზიციაზე დადგა. ამან გვაიძულა ისიც გაგვერიცხა საზოგადოებიდან ისე, რომ აღდგენის უფლება აღარ ჰქონოდა.

საერთო კრებამ გარიცხულებს ბრალად დასდო კოლაბორაციონიზმი, ოპორტუნიზმი, უპრინციპობა და საბოლოო ანგარიშით— ეროვნულ ინტერესთა გამცემლობა. ჩვენ ვადასტურებთ რომ ისინი საბოტაჟს უწევენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, კრიჭაში უდგანან ქართველ პატრიოტთა ყოველ ღონისძიებას „პროვოკაციებად“ აცხადებენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, შიმშილობას, ილაშქრებენ საზღვარგარეთთან, აგრეთვე დისიდენტთა მოძრაობასთან კავშირურთიერთობის წინააღმდეგ, თანამშრომლობენ ხელისუფლებთან პატრიოტულ წამოწყებათა აღსაკვეთად. მათი ბრალი იყო, რომ 1988 წლის 14 აპრილს ჩაიშალა დემონსტრაცია. 26 მაისს გამართული მიტინგის დროს მათ საბოტაჟი და სულმოკლეობა გამოიჩინეს.

IV დასი არ ცნობს მათ საზოგადოების გამგეობის წევრებად, უარყოფს მათი გამგებლობის კანონიერებას და მით უმეტეს უარყოფს მათს თანაზიარობას საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში.

ფაქტობრივად მოხდა ის, რომ პატრიოტული ძალები პროვოკატორებს, ყოველგვარ პოზიციას მოკლებულ სულმოკლე და ლაჩარ ადამიანებს გაემიჯნენ, რითაც ეროვნული მოძრაობა იხსნეს. ამ მოვლენის საფუძველი აზრთა განსხვავებულობა კი არა, პოზიციათა სხვადასხვაობაა, რადგან მათი პოზიცია სულ. უფრო მეტად ემთხვეოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ეს პირები დისიდენტები არ არიან, რადგან ხელისუფალთა მხრივ დევნის არავითარი ფორმა და შევიწროება არ ეხებათ, მათ თავს არ ესხმის საბჭოთა პრესა და ა. შ., ნამდვილი დისიდენტების საქმე კი პირიქითაა.

ვთხოვთ ყველა, დაინტერესებულ პირს, ყველა ქართველ პატრიოტს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა თანამემამულეს წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) საზოგადოების — IV დასის შესახებ ინფორმაცია მიიღონ ხოლმე მარტოოდენ ამ საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრისაგან.

**წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) საზოგადოების — „IV დასის“ საკოორდინაციო ცენტრი.**

**1988 წლის 18 ივნისი.**

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოების რეორგანიზებული გამგეობის განცხადება

**იმის** გამო, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში მოხდა ძალთა პოლარიზაცია და საზოგადოების სოლიდურ ნაწილს არ სურს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საქმიანობა მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათისა იყოს, გადაწყდა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრინციპებიდან გამომდინარე დაარსდეს მეოთხე დასი, რომელიც საზოგადოების ყველაზე აქტიურ და უკომპრომისო წევრებს გააერთიანებს.

პირველ დასს სათავეში დიდი ილია ედგა, მისი უშუალო თაოსნობით შეიქმნა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. „დასელობამ“ მკვეთრი პოლიტიკური იერი მიიღო მესამე დასის მოღვაწეობის პერიოდში და მიუხედავად ილიას პრინციპებიდან გადახვევისა, ბევრი მესამედასელის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან ხანასთან.

მეოთხე დასი გააგრძელებს პირველი დასის, დიდი ილიას დაწყებულ საქმეს და დღევანდელ პირობებში იმასაც შეეცდება, რომ ქართველ ხალხს მოუძებნოს სწორი გზები და ფორმები დაუსახოს.

საჭიროდ მიგვაჩნია:

I. მოწვეულ იქნეს მეოთხე დასის საერთო კრება, რომელიც 1987 წლის 11 დეკემბერს დამფუძნებელ კრებაზე მიღებულ პროგრამასა და წესდებას ჩაასწორებს ახალი სიტუაციისა და მოთხოვნების შესაბამისად.

II. მეოთხე დასის ხელმძღვანელ ორგანოს ეწოდოს არა გამგეობა, არამედ საკოორდინაციო ცენტრი. ცენტრის დღევანდელი შემადგენლობა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

III. გამკაცრდეს მეოთხე დასში ახალი წევრების მიღების წესები.

IV. ყველგან ხაზგასმით აღინიშნოს ის, რომ მეოთხე დასი არამარტო ეროვნული, არამედ სამართალდამცველი ორგანიზაციაცაა და ის ერთგულია ჰელსინკის სულისა და საქმის.

V. მეოთხე დასის სექციებია:

ა. ეროვნული უფლებების დაცვის,
ბ. ადამიანთა უფლებების დაცვის,
გ. საეკლესიო საქმეთა,
დ. დამოუკიდებელი პროფკავშირების,
ე. კულტურულ-ეკოლოგიური.

თითოეული სექცია იყოფა კომიტეტებად და ყოველ კომიტეტში გაერთიანებულია 5-10 კაცი.

VI. მეოთხე დასი აცხადებს, რომ მას არ სურს ხელისუფლებასთან კონფრონტაცია.

VII. საკოორდინაციო ცენტრის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 7 კაცს, ასევე შეიქმნას აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც ცენტრის გარდა შევა ფილიალებისა და კომიტეტების თითო წარმომადგენელი.

თვისობრივად ახალი ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არის მეოთხე დასი.

**მეოთხე დასის საკოორდინაციო ცენტრი:**

**1. ჭანტურია, 2. ხუხუნაიშვილი, 3. გამსახურდია, 4. ჯანელიძე, 5. კოსტავა, 6. წერეთელი.**

**1988 წ.**

**მარტის 19 დღე ჰოვნისა ძლისა ჭეშმარიტისა და სამსჭუალთა**

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დეკლარაცია

**ჩვენ,** ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრის წევრები, ვაცხადებთ, რომ ჩვენი საზოგადოების თვისებრივმა და რაოდენობრივმა ზრდამ, საქართველოს ბევრ რაიონში მისი ფილიალების შექმნამ, ჩვენი საზოგადოების მიერ მოწყობილმა მთელმა რიგმა საპროტესტო აქციებმა, თვითგამოცემული ლიტერატურის სწრაფმა და ეფექტიანმა გავრცელებამ და შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ წანამძღვრები შეუქმნა ისეთი ტიპის პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას, რომელზეც ოცნებობდა და რომლისთვისაც იბრძოდა საქართველოს დიდი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა არ ნიშნავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაუქმებას, პირიქით, ჩვენ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ მისი გაძლიერებისათვის. დღეს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას, როგორც ჩვენი პარტიის საბაზო ორგანიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. სწორედ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შემატებს ძალებს პარტიის რიგების შევსებას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრის ხუთი წევრი — ჭანტურია, ბათიაშვილი, წერეთელი, ფავლენიშვილი და ხუხუნაიშვილი, რჩებიან რა საკოორდინაციო ცენტრის წევრებად, ამასთანავე შეადგენენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს. საკოორდინაციო ცენტრის დანარჩენი ოთხი წევრი — კოსტავა, გამსახურდია, ჯანელიძე და მარკოზია უხელმძღვანელებენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, რომელიც კადრებს უზრდის პარტიას და მისი საბაზო ორგანიზაცია და ფუნდამენტია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წმინდა ილია მართლის სულიერი მოღვაწეობის ნაყოფია, იმ საუკეთესო ტრადიციების განმგრძობია, რომელთა მატარებელი ჩვენი საუკუნის ოციან წლებში იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც საქართველოს მისცა ისეთი შვილები, როგორიც იყვნენ კედია, გაბაშვილი, ვაჩნაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვანი. ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანაა აღადგინოს დამოუკიდებლობა, ააღორძინოს დემოკრატიული, საპარლამენტო და ქრისტიანული საქართველო. ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ძალადობას და ვიმოქმედებთ, როგორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძალა. ჩვენი აზრით, ყოველ ერს აქვს სრული უფლება აირჩიოს თავისი მომავალი და არვის აქვს იმის უფლება, რომ ამა თუ იმ ერს მიუთითოს, როგორი უნდა იყოს მისი მომავალი. ყოველმა ხალხმა თავად უნდა განსაზღვროს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც თავისთვის მისაღებად მიაჩნია.

ქართველმა ერმა ასეთი არჩევანი გააკეთა 1918 წლის 26 მაისს და თავისუფალ საქართველოში ხმა მისცა დემოკრატიასა და პლურალიზმს. 26 მაისი ბოლშევიკურმა ხიშტმა მოსპო, მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეა უძლეველია. დღეს იქნება თუ ხვალ, 70 წლის წინათ გაკეთებული ქართველი ერის არჩევანი რეალობად იქცევა და საქართველო საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

ჰელსინკის შეთანხმების სულისკვეთების შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველი ერის კანონიერი და საარსებო მნიშვნელობის მოთხოვნაა, უდავო აუცილებლობაა, რადგან საქართველო ამჟამად სულიერი და ფიზიკური გადაშენების პირას დგას.

იმის გამო, რომ ხელოვნურად ირღვევა დემოგრაფიული წონასწორობა, საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებულია ეკოლოგიური ომი, სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, თვით საქართველოს ზოგიერთ რეგიონში იდევნება ქართველი მოსახლეობა, ქართული ენა ფაქტობრივად გამოდევნილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, რომ არ გვყავს ეროვნული ჯარი, ზემოდან დაგეგმილად კნინდება ქართული კულტურა, ფაქტობრივად დაკნინდა ქართული ეკლესია, ერთი სიტყვით, ილახება ქართველი ერის უფლებები, არავინ არაფრად აგდებს მის ნება-სურვილს, — ყოველივე ეს უდიდეს საფრთხეს გვიქმნის, და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას თავის მიზნად მიაჩნია არა მარტო ამ ჩიხიდან გამოსავლის ძიება, არამედ საქართველოს სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის აღდგენა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“ — ილიას ეს ლოზუნგი დღესაც სავსებით თანამედროვეა. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ მისი პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

მიწა, რომელიც ჭეშმარიტების თესლით გაანოყიერა ანდრია პირველწოდებულმა, სადაც განისვენებს მაცხოვრის მეორე მოწაფის — სვიმონ კანანელის წმინდა ნაწილები, მიწა, რომელიც გაწმენდილია მრავალთა წამებულთა და გმირთა სისხლით, წმიდათაწმიდაა, წმიდათაწმიდაა ისევე, როგორც ის მიწა, რომელზეც მოსე იდგა. ერი, რომელმაც მსოფლიოს დიდი პოეტები და მრავალი მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მრავალი წმინდა მამა მისცა და რომლის სახელმწიფოებრიობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, თავისუფლების ღირსია.

ქვეყანა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანობის ერთადერთი ბურჯი იყო აღმოსავლეთში და ევროპას იცავდა მაჰმადიანური აგრესიისაგან, და რომლის დროშა უძნელეს და ყველაზე საშიშ მომენტებშიც კი არ დახრილა, დამოუკიდებლობის ღირსია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დიდი ისტორიული უსამართლობის გამოსწორება იქნებოდა. ამისთვის ღირს ცხოვრება, ბრძოლა და სიკვდილი.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

**1988 წლის 30 აგვისტო.**

# თბილისის 12 ნოემბრის მიტინგი და მანიფესტაცია

**1988 წლის** 12 ნოემბერს თბილისში გაიმართა უპრეცედენტო საპროტესტო მანიფესტაცია (ასი ათას კაცამდე), რომელიც იპოდრომზე მიტინგით დამთავრდა. ქალაქის მთავარი ქუჩები — რუსთაველის პროსპექტი (ნაწილობრივ), ლენინის ქუჩა, ჭავჭავაძის პროსპექტი და გურამიშვილის ქუჩა გადაიკეტა, მოძრაობა შეჩერდა, რასაც 13 ნოემბრის ნომერში ოფიციალური გაზეთი „კომუნისტიც“ კი წერდა და მას უკანონოს უწოდებდა, რადგან ხელისუფალთ დემონსტრაციის ნებართვა არ გაუციათ. იპოდრომზე მიტინგის ნებართვა ხელისუფალთ დართეს, რადგან შეშინდნენ, რომ მიტინგი არ გამართულიყო მთავრობის სახლთან, რომლის მისასვლელები ჯარებმა ჩაკეტეს. ჯარები იდგნენ ძერჟინსკის ქუჩაზეც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან. მთავარ ფოსტასთან თავი მოუყარეს მუზარადებიან და ნაგაზებიან მოიერიშე რაზმებს.

დემონსტრაციასა და მიტინგს სამი ძირითადი თემა და მოთხოვნა ჰქონდა:

1. გაეუქმებინათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა მიტინგებს, დემონსტრაციებსა და ქუჩის მსვლელობებს და საამისოდ ხელისუფალთა წინასწარ ნებართვას მოითხოვდა;
2. არ დაეშვათ კონსტიტუციაში ახალ შესწორებათა შეტანა, რომელთა თანახმადაც სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გამოსვლის საკითხი საბჭოთა კავშირის უზენაეს ორგანოს, ეგრეთ წოდებულ „სახალხო დეპუტატთა ყრილობას“ უნდა გადაეწყვიტა;
3. შეეწყვიტათ სვანეთში გიგანტური წყალსატევებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებიც წყლით ფარავენ ნახევარ სვანეთს და ეკოლოგიურ კატასტროფას უქადიან მთელ დასავლეთ საქართველოს.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“, „გაუქმდეს დრაკონული კანონები!“, „შეწყდეს საქართველოს რუსიფიკაცია!“, „შეწყდეს სვანეთში ჰესების მშენებლობა!“, „შეწყდეს ქართველ პატრიოტთა და ადამიანის უფლებების დამცველთა დევნა!“, „აჭარა საქართველოა!“, „შეწყდეს ქართული მიწებით ვაჭრობა!“.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დროშები (სამფეროვანი), ეროვნული დროშები, რომლებზეც გამოსახული იყო წმინდა გიორგი და წმინდა ნინოს ჯვარი, მოჰქონდათ საქართველოს ეროვნული გმირების ილია ჭავჭავაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტები, რომლებიც რუსეთისგან საქართველოს გამოყოფას მოითხოვდნენ.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ზვიად გამსახურდიამ და გამოაცხადა, რომ იგი მოაწყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (IV დასი) ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. შემდეგ მიკროფონი სალოცავად გადასცა ბათუმელ მღვდელს ნიკოლოზს (ღლონტს). გაიმართა ლოცვა და მღვდელმა აკურთხა ხალხი. შემდეგ გამოვიდნენ მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და თემურ ქორიძე. ზვიად გამსახურდიამ წაიკითხა მემორანდუმი, რომელიც საქართველოს ხელისუფალთ გაეგზავნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით. სიტყვებით გამოვიდნენ ნოდარ ნათაძე, ერეკლე საღლიანი, ირაკლი შენგელაია, მარნეულისა და სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლები, თვითმფრინავის გატაცების საქმის გამო დაპატიმრებული თინათინ ფეტვიაშვილის დედა, უდანაშაულოდ დახვრეტილი მღვდლის თეიმურაზ ჩიხლაძის ქალიშვილი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ირაკლი არაბული — მამუკა არაბულის მამა, რომელიც წამებით მოკლეს საბჭოთა არმიის ჰაუპტვახტში.

დემონსტრანტები იმ პირობით დაიშალნენ, რომ საქართველოს ხელისუფალნი ერთ კვირაში დადებითად უპასუხებდნენ მათს მოთხოვნებს, თორემ შაბათს, 19 ნოემბერს, კვლავ განახლდებოდა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია. მილიციამ ვერაფერი გააწყო დემონსტრანტთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკანასკნელნი გაცილებით მეტნი იყვნენ.

**1988 წლის ნოემბერი.**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (IV დასი) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

## საზღვარგარეთ

# დამატებითი ცნობები რ. განდის მკვლელობის გამო

**რაჯივ** განდის მკვლელობის გამოძიების დროს შესაძლებელი გახდა დამატებითი ცნობების მიღება შივარაჯანზე, შრილანკელ ტამილზე, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ორგანიზაციაში.

როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იუწყება, მადრასში აღმოჩენილია შივარაჯანის კუთვნილი მოტოციკლეტი. ამან შესაძლებელი გახადა დადგენილიყო მისამართი, სადაც მისი მფლობელი ცხოვრობდა. ცნობილი გახდა ავტოსკოლაც, სადაც მან რამდენიმე თვის წინათ მძღოლის მოწმობა მიიღო. დღევანდელ ბევრ ინდურ გაზეთში გაჩნდა ეჭვმიტანილის ფოტოსურათები, რაც მისი გამოცნობის მეტ შანსს იძლევა. შივარაჯანის ძებნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მხოლოდ მან უნდა იცოდეს, ვინ იდგა ინდოეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის მკვლელობის ორგანიზატორთა ზურგს უკან. დანაშაულის დანარჩენი მონაწილენი მხოლოდ აღმსრულებლები იყვნენ.

# მძარცველმა ოთხი მცველი მოკლა

**ვაშინგტონი,** (საკდესი). ოთხი კაცი, რომლებიც გასულ უქმე დღეებში იცავდნენ ამერიკის ქალაქ დენვერის (კოლორადოს შტატი) უდიდეს ბანკს — „იუნაიტედ ბენკ ოფ დენვერს“, — მკვდარი იპოვნეს ბანკის შენობაში. როგორც სი-ენ-ენის ტელეკომპანია იუწყება, ისინი, ეტყობა, უცნობ მძარცველებს მოუკლავთ, რომლებმაც დღემდე დაუდგენელი თანხა გაიტაცეს.

როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა განაცხადა, პოლიცია ბანკის მოსამსახურეებმა გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე მოსულმა პოლიციელებმა სამი მცველის გვამი აღმოაჩინეს საყარაულოში, რომელიც ქუჩის დონეზე ორი სართულით დაბლაა, მეოთხის გვამი კი შენობის მეორე სართულზე იპოვეს. პოლიციის აზრით, ამგვარი დანაშაული შეეძლო ჩაედინა ან ბანკის ერთ-ერთ მოსამსახურეს, ან მძარცველს, რომელსაც ძალზე დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდა ბანკის შიდა განლაგების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „იუნაიტედ ბენკ ოფ დენვერის“ ოფიციალურ წარმომადგენელს გაუჭირდა დაესახელებინა უქმე დღეებში მომუშავე მოსამსახურეთა რიცხვი, პოლიციის აზრით, ისინი ოცზე მეტი არ უნდა ყოფილიყვნენ. და იმედი აქვს, რომ მიაგნებს მძარცველის ან თანამზრახველის კვალს. თუმცა დღემდე გამორიცხული არ არის, რომ ბოროტმოქმედს შეეძლო შენობაში შეეღწია კიდევ რაღაც სხვა გზით. პოლიციის აზრით, ძნელია იმის ვარაუდი, რომ ქუჩიდან გამვლელმა უბრალოდ შეიარა შენობაში, გაიარა უსაფრთხოების მთელი სისტემა, მოკლა მცველები, გაძარცვა ბანკი, შემდეგ კი ასევე მშვიდად გამოვიდა ქუჩაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პრობლემა

# ამას მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები

**ჩვენი გაზეთის მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ კომერციულ საქმიანობაში ბევრი შემთხვევითი პირი ჩაება. თავისთავად გამოიკვეთა პრობლემაც — მათ საქმიანობას ნაკლებად აქვს საერთო რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგების ინტერესებთან.**

**პრობლემა აქტუალურია და ამიტომაც გთავაზობთ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის საუბრის ჩანაწერს ბატონ ზურაბ კოპალიანთან, რომელიც მასალის მომზადების დროს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იყო და საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციებს კურირებდა, დღეს კი, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გახლავთ.**

**ჩვენი** რესპუბლიკა მტკიცედ და თანამიმდევრულად ადგას სახალხო მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის კურსს, რაც გულისხმობს ეკონომიკის დემონოპოლიზაციას, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას, წარმოების საშუალებებისაგან ადამიანის გაუცხოების დაძლევას, თავისუფალი შრომისა და ინიციატივიანობის წახალისებას, და ყველა იმ სხვა მომენტებს, რაც პიროვნების თავისუფლების და უფლებების რეალიზაციასთან არის დაკავშირებული.

დღეს, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების პირველი ელემენტების — თავისუფალი და სახელშეკრულებო ფასების შემოღებამ და, მეორე მხრივ, მთელი ქვეყნის მასშტაბით სასაქონლო რესურსებში შექმნილმა დეფიციტმა კომერციული დარგის მუშაკებს გარკვეულად უბიძგა თავისუფალი მოქმედებისა და პირადი გერგილიანობის გამოჩენისაკენ, განავითარა ვაჭრობის მუშაკთა და კოოპერატორთა თავისუფალი საქმიანობა, რასაც არ შეიძლება არ მივესალმოთ და მხარი არ დავუჭიროთ.

ამასთან ერთად ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კომერციულ საქმიანობაში ჩაება ბევრი შემთხვევითი და არაკეთილსინდისიერი პირი, ვისაც არაფერი აქვს საერთო მოსახლეობის მომარაგებისა და სავაჭრო მომსახურების ინტერესებთან.

საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციას საკმაო მასალები აქვს იმაზე, რომ ზოგიერთი პირადი გამორჩენის წყურვილით შეპყრობილი და თავისუფალი კომერციის ფრაზეოლოგიას ამოფარებული ვაი კომერსანტი ყოველგვარი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე აფორმებს უცხოეთის ფირმებთან და შუამავალ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებს და ისე შემოაქვს საქონელი, რომ არ ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის ინტერესებს და შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას, ამასთან ივიწყებს, რომ საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე გასვლისას ერის წინაშე დიდ პასუხისმგებლობასაც კისრულობს.

ამიტომაც ჩვენ ყველა იმ კომერციულ ოპერაციას, რომელიც არ ემსახურება რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების დაცვას და ამ კრიზისულ პირობებში სასიცოცხლო პროდუქტებით მათი მომარაგების უზრუნველყოფის საქმეს, ვაფასებთ როგორც ეკონომიკურ საბოტაჟს, ღალატს ერისა და რესპუბლიკის ინტერესებისადმი.

სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ „საქსამშენმასალებითვაჭრობის" რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანების (გენერალური დირექტორი გ. ძებისაშვილი) ხელმძღვანელობის მოქმედებას, რომლებმაც პირველი მოხმარების სასიცოცხლო საქონლის ასეთი მწვავე დეფიციტის დროს რესპუბლიკაში ხელშეკრულებით შემოიტანეს 7 მლნ. მანეთზე მეტი ღირებულების 32 ათასი ბოთლი ფრანგული კონიაკი „კამიუ".

განა შეიძლება არ აღგვაშფოთოს იმ ფაქტმა, რომ ყურძნის და ღვინის სამშობლოში, სადაც 12 სხვადასხვა დასახელების კონიაკი მზადდება, ხოლო სავაჭრო ქსელს ერიცხება ამ საქონლის 2 მლნ. მანეთის ზენორმატიული მარაგი, გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელიც 220 მანეთს იხდის ერთ ბოთლ კონიაკში იმისათვის, რომ შემდეგ ჩვენივე რესპუბლიკის მცხოვრებლებს 275 მანეთად მიჰყიდოს. უფრო მეტიც, ამას აკეთებს ის უწყება, რომელსაც სულ სხვა დანიშნულება აქვს და მოწოდებულია სამშენებლო მასალებით (აგურით, ხე-ტყით, ცემენტით და ა. შ.) მოამარაგოს რესპუბლიკის მოსახლეობა.

ნუთუ სულ მცირე პატრიოტიზმის გრძნობა თუ არა, უბრალო ადამიანური თანაგრძნობა მაინც არ ამოძრავებდა „საქსამშენმასალებითვაჭრობის" ხელმძღვანელობას, როცა ამ გარიგებას აწერდა ხელს? ნუთუ არავინ არ ფიქრობდა, რომ სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონებს, რომლებსაც ცენტრმა დახმარების ხელის გაწვდის ნაცვლად ბლოკადით უპასუხა, ცემენტი, ქვიშა, აგური და სხვა საშენი მასალები უფრო ესაჭიროება, ვიდრე ფრანგული კონიაკი. მაგრამ გამოდის ვიღაც-ვიღაცებისათვის ასეთი გარიგება უფრო სახეირო იყო და ეტყობა, როცა საქმე ჯიბეს ეხება, ერის ინტერესებს ბევრი არას დაგიდევთ.

ვაჭრობის სამინისტროს ზურგსუკან და მისი ნებართვის გარეშე გადადგმული ეს ნაბიჯი იმითაც არის აღმაშფოთებელი, რომ როდესაც დავინტერესდით და შემოსული კონიაკის ხარისხი შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ იგი თავისი თვისებებით გაცილებით ჩამოუვარდება 35 მანეთად ღირებულ შედარებით დაბალხარისხოვან ფრანგულ 3-ვარსკვლავიან კონიაკ „კამიუსაც" კი და უბრალოდ სპირტიანი სასმელია. ამიტომაც არის, რომ დღეს ამ სასმელს მყიდველი არ ყავს. ამჟამად საქმე გადაცემული აქვთ საგამოძიებო ორგანოებს.

კომერციული აზროვნების სრული იგნორირების მაგალითია ის ოპერაცია, რომელიც განახორციელა თბილისის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველომ (მმართველი მ. ტყეშელაშვილი). მათ ხელშეკრულებით შემოიტანეს 27980 მანეთის 245 ცალი იაპონური „სუპრას" ფირმის ტელევიზორები თავისი ვიდეომაგნიტოფონებიანად, და ეს მაშინ, როდესაც კომერციულ საკომისიო მაღაზიებში უკეთესი სისტემის და უფრო დიდეკრანიანი იაპონური წარმოების მსგავსი ტელევიზორები ვიდეომაგნიტოფონებითურთ 25-26 ათასი მანეთი ღირს. ჩვენ არაერთხელ გაგვიკრიტიკებია კომერციული საკომისიო მაღაზიები აქ არსებული არაბუნებრივად მაღალი ფასებისათვის, მაგრამ როდესაც სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია ფასების დონით აჭარბებს კერძო სექტორს, ბუნებრივია, იბადება კითხვა — ვის აძლევს ხელს ასეთი „ანტიხალხური" გარიგებები, ვინ იხვეჭს სარგებელს, ვინ დგას მათ უკან და ვინ უნთებს მწვანე შუქს ყოველგვარ საეჭვო ხელშეკრულებებსა და ჩარჩულ გარიგებებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მომხმარებელთა ინტერესებს ემსახურებოდეს, ვინაიდან შემოტანილი ტელევიზორები უზომოდ მაღალი ფასის გამო არ იყიდება და უძრავად აწყვია საწყობებში, ხოლო დიდი რაოდენობის ძვირადღირებული საქონლის უძრავად გაჩერებას შედეგად ის მოჰყვა, რომ სასაწყობო სათავსები გაქურდეს და ოპერატიული მონაცემებით დაიტაცეს 120 ათასი მანეთის ტელევიდეოაპარატურა. საქონელი რომ როგორმე გაესაღებინათ, ამ დღეებში ვაჭრობის მუშაკებმა დანაშაულს კიდევ ერთი დანაშაული დაუმატეს — ტელევიდეოაპარატურის 2 კომპლექტი უნაღდო ანგარიშსწორების წესით გაყიდეს, რაც რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით აკრძალულია.

გასაოცარია, რომ ყოველივე ამას სჩადის ხალხი, რომელსაც ვაჭრობის დარგში მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს და კარგად ერკვევა კომერციის ანბანში. ამიტომაც მათ უფრო მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

როდესაც ასეთი არაფრისმომცემი გარიგებებისათვის ვამხილებთ ხოლმე ზოგიერთ ვაიკომერსანტს, მავანნი ცდილობენ ხელი დააფარონ მას — აქაოდა რას ერჩით, ხალხისათვის იღვწისო. მაგრამ ჩვენი ამოცანაა გადავხედოთ ამ „მოღვაწეობის" მიღმაც და ავტორთა მამოძრავებელი ნამდვილი მიზეზები დავინახოთ, ვინაიდან დღეს ბევრს აღძრა სურვილი სახელმწიფოს და ხალხის ჯიბეში ხელის ფათურის, თანაც მოხერხებულად ამოეფარა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ლოზუნგებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ქუთაისის სავაჭრო ობიექტებმა ადგილობრივი მაცივრიდან მიიღეს ცენტრალიზებული წყაროებით შემოსული იმპორტული ფრინველის ხორცი (1 კგ. 5 მანეთად და 60 კაპიკად). რესპუბლიკაში მოქმედი პრეისკურანტის შესაბამისად სავაჭრო ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ საქონელი აეფასებინათ 10 მანეთამდე და ისე მოეხდინათ მისი რეალიზაცია. ფაქტობრივად აფასება არ მომხდარა და სავაჭრო ობიექტებს ეს ფრინველის ხორცი დაეწერათ ისევ დაბალი ფასით. ამის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა 616 მლნ. მანეთის ნაცვლად მხოლოდ 346 მლნ. მანეთი ანუ 270 მლნ. მანეთით ნაკლები მიიღო. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს საქონელი ყველგან 10 მანეთად გაიყიდებოდა, (მეტად თუ არა), ოღონდ ეს არის, ამ ვითომდა „უნებლიე" შეცდომის წყალობით ფასთა სხვაობა ბიუჯეტში კი არა, ზოგიერთი უღირსი მუშაკის ჯიბეში წავიდა.

ამჟამად ჩვენ ვსწავლობთ რესპუბლიკაში დაწყებულ ე. წ. „ლუდის კამპანიასთან" დაკავშირებულ ამბებს, ამ პროდუქციის დიდი რაოდენობით შემოზიდვის ეკონომიკურ დასაბუთებულობას, ფასწარმოქმნის სისწორეს და სხვა მომენტებს, რომლებიც ნათელს მოჰფენს ჩვენი საზოგადოებისათვის საინტერესო ბევრ საკითხს.

როდესაც მსგავს კომერციულ ოპერაციებს ვაანალიზებთ, იბადება კითხვა — სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა და მომძლავრებული ათასგვარი კოოპერატივების, სასაქონლო ბირჟებისა და საშუამავლო ფირმების კომერციული დარგის მუშაკები თავიანთ საზღვარგარეთელ პარტნიორებსა და მათ შუამავლებს ხელს ხომ არ უმართავენ თავიანთ ბაზარზე ჭარბი საქონლის გასაღებაში ჩვენი მომხმარებლის ხარჯზე, რა თქმა უნდა გარკვეული გასამრჯელოს ფასად?

ანდა ამ გარიგებებს უმეტესწილად პირადი გამორჩენის სურვილი ხომ არ ამოძრავებს? მით უმეტეს, რომ ღრმად არავინ არ იხედება გაფორმებული კონტრაქტების და შესყიდულ პროდუქციაზე ფასმიყენების მექანიზმის მიღმა?

წინააღმდეგ შემთხვევაში რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ უცხოელი პარტნიორებისაგან და სხვადასხვა შუამავლებისაგან შესყიდული საქონელი თვეობით აწყვია საწყობებში და „სარფიან" მყიდველს ელის, არ ნაწილდება სავაჭრო ობიექტებზე და რესპუბლიკის ბიუჯეტი ვერ ღებულობს სათანადო ფულად შევსებას, რის გამოც ფერხდება ფულის მიმოქცევის პროცესები რესპუბლიკაში.

წლეულს აპრილის თვეში „თბილკულტსამეურნეოვაჭრობამ" ბარტერული გაცვლითი ოპერაციით შემოზიდა 225 ათასი მანეთის 191 კომპლექტი ფრანგული სერვიზი, საიდანაც სისტემის მაღაზიებზე მარტო 48 კომპლექტი განაწილებულა, დანარჩენი უძრავად იყო გაჩერებული. ანალოგიურად, „საქსურსათბითუმვაჭრობის" ხელმძღვანელობამ (მმართ. ო. ხურციძე) ერთერთი შუამავალი ორგანიზაციისაგან შეისყიდა დიდი ოდენობის იმპორტული საღეჭი რეზინა და იმის მაგივრად, რომ დროულად გაეტანა იგი ქსელში და გაეშალა ვაჭრობა, სპეციფიური საქონელი შეიტანა თამბაქოს საწყობში, სადაც დღესაც ელის მყიდველს.

„საქქსოვილტანსაცმელვაჭრობის" რესპუბლიკური საბითუმო ბაზის ყოფილმა მესვეურებმა სახელმწიფოსაგან 6 მლნ. მანეთის სესხიც კი აიღეს ვალუტის შესაძენად, რომელიც შემდგომში გამოიყენეს ისევ ვალუტაზე გასაყიდი პროდუქციის საყიდლად, რასაც ვითომდა გარკვეული სარგებელი უნდა მოეტანა ვალუტითვე. მაგრამ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის გაუთვალისწინებლად რესპუბლიკაში შემოზიდულ დიდძალ შეკერილ და ტრიკოტაჟის ნაწარმს მომხმარებელი არ გამოუჩნდა და იგი დღემდე უძრავად აწყვია ბაზის საწყობებში. ქარს გაატანეს ასე საჭირო სახსრები, რომელთა რაოდენობაც 325 ათას დოლარს აღწევს. ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკას სავალუტო სახსრები არ ყოფნის საზღვარგარეთ პურის, ხორცის, კარაქის და სხვა აუცილებელი საქონლის შესაძენად. საკითხავია, ვის მისცა ხელი ამ გარიგებამ, ვინ იყო დაინტერესებული სახელმწიფო სახსრების ასე უყაირათო გამოყენებით და რატომ არ აგებენ დღეს პასუხს ისინი, ვისი უშუალო თაოსნობითაც მოხდა ეს ოპერაცია? არადა ზემოაღნიშნული საქონლის შესაძენად ასეული ათასობით სახელმწიფო ფული იყო დახარჯული. ეს ფული შეიძლებოდა უფრო გონივრულად მოეხმარა იმათ, ვისაც ხალხის მომარაგება ევალება.

ამიტომაც ვაჭრობის სამინისტროს განზრახული აქვს უახლოეს პერიოდში შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც გააკონტროლებს სისტემის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ყველა ბარტერულ გაცვლით თუ სახელშეკრულებო ოპერაციას იმ მიზნით, რომ ისინი მიმართული იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სამომხმარებლო ბაზრის აუცილებელი საქონლით შევსებისაკენ. ეს თავიდან აგვაცილებს თვითნებური, ეკონომიკურად არახელსაყრელი კომერციული ოპერაციების გაფორმების შემთხვევებს. ამასთან გზას გადაუღობავს იოლი გამდიდრებისაკენ მათ, ვისაც სურს სახელმწიფო ფულადი სახსრების ხარჯზე აკეთოს თავისი ბნელი საქმეები.

თავის დროზე რესპუბლიკის მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებდა ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელ კოოპერატივებზე, რომლებიც მოწოდებული იყვნენ რამდენადმე შეევსოთ ჩვენი გაჩანაგებული სამომხმარებლო ბაზარი იმ საქონლით, რომელიც ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდა მომხმარებელს. საუბედუროდ, კოოპერატივების დიდმა ნაწილმა უგულებელყო მომხმარებელთა ინტერესები და პირადი გამორჩენის გზით წავიდა. გარდა იმისა, რომ აწარმოებენ დაბალხარისხოვან პროდუქციას, რომელსაც თვითნებურად გაზრდილი ზღვრული ფასები ადევს (რაც კოოპერატივებისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროა), ზოგიერთები იმაზეც კი მიდიან, რომ სათანადო მარკირების, ფასმაჩვენებლის გარეშე უშვებენ ნაწარმს და გაზრდილ ფასთან ერთად ზედმეტსაც ახდევინებენ მომხმარებელს.

ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ასეთ ვითარებაში მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად ისევ ჩვენ — სახელმწიფო სტრუქტურები უნდა დავდგეთ და პრინციპულად გადავუღობოთ გზა ყველას, ვინც არაკეთილსინდისიერი და დანაშაულებრივი გზით ხალხის ხარჯზე ცდილობს გამდიდრებას. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ნებისმიერ ახალ მოძრაობას, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური, პირველ ეტაპზე ყოველთვის ეტმასნება ახალ ლოზუნგებსა და ეკონომიკურ კატეგორიებს ამოფარებული, კარგად შენიღბული ავანტიურისტთა ჯგუფები. ასეთები საბაზრო ურთიერთობებისაკენ მიმავალ გზაზეც ბევრი არიან. ჩვენი ამოცანაა ვამხილოთ არა მარტო ისინი, არამედ ყველა, ვინც მათ უმაგრებს ზურგს და თვითნებობის მყარ ნიადაგს უქმნის.

დღეს რესპუბლიკას უჭირს და კომერციული დარგის თითოეული მუშაკის მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალია თავისი პატიოსნებით, ცოდნით და საქმიანობით ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში ეკონომიკური სტაბილიზების პროცესების დაჩქარებას. ყველა, ვინც შეგნებულად აფერხებს ამ პროცესებს, ქმნის ეკონომიკურ ქაოსს, ეწევა საბოტაჟს და ხელს ითბობს ხალხის გაჭირვებაზე, მხილებულ უნდა იქნეს და მოიკვეთოს.

ამას მოელის ჩვენგან ხალხი, ამას მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები.

---

### საკუთარ სახლში

# აღშფოთება, პროტესტი

**სოხუმის** ფეხსაცმლის ფაბრიკის კლუბში გაიმართა შუქურას მიკრორაიონში მდებარე შრომითი კოლექტივების აქტივის გაერთიანებული კრება, რომელზეც მოვიდნენ იქვე წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები, როგორიცაა საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკა", სოხუმის თევზკომბინატი, № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმო, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, ავტოკოლონა 26/54, მეთევზეობის კოლმეურნეობა, ფეხსაცმლის ფაბრიკა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ატოლი", აგრეთვე ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი.

კრება გახსნა სოხუმის შრომითი კოლექტივების გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარემ როდიონ შენგელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოო, სატრანსპორტო თუ სამშენებლო ორგანიზაციათა მშრომელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია აფხაზეთის ტელევიზიით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას ამასწინანდელმა გამოსვლამ. როგორც უკვე ცნობილია, ბატონმა ვლადისლავ არძინბამ აფხაზეთის აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკებთან შეხვედრაზე (გადაიცა ტელევიზიით) განაცხადა, სამოკავშირეო ხელშეკრულებას აფხაზეთი ხელს მოაწერსო.

— რასაკვირველია, ეს განცხადება, — თქვა როდიონ შენგელიამ, — არ ექვემდებარება არც გონიერებას, არც სამართლის კანონებს. ეს არის კიდევ ერთი ახალი დარტყმა საქართველოსათვის, რომელიც სამოცდაათწლიანი ჩაგვრისაგან თავის დაღწევის რეალურ გზას ადგას და ამასთან ყველაფერს აკეთებს, რათა განმუხტოს, გამოაჯანსაღოს დესტრუქციული ძალების დაწოლისაგან აფხაზეთში შექმნილი არასახარბიელო ვითარება.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნულად მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ეთანხმება ავტონომიური რესპუბლიკის უმეტესი ნაწილი, გამართლება იმით მოუძებნეს, თითქოს 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში კავშირს მხარი დაუჭირა აფხაზეთის მცხოვრებთა 50 პროცენტზე მეტმა. სინამდვილეში ჩვენ ყველანი (და არა მარტო ჩვენ) მოწმენი ვართ, თუ რა „დემოკრატიულ" ვითარებაში მოეწყო ეს რეფერენდუმი.

სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევები დაფიქსირებული აქვთ უცხოელ მეთვალყურეებსაც. ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში საერთოდ მონაწილეობა არ მიუღია გალის რაიონის მცხოვრებლებს, სადაც 52 ათასზე მეტი ამომრჩეველია. ამავე დროს 31 მარტის საქართველოს რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო და დადებითი ხმა მისცა აფხაზეთის მოსახლეობის 62 პროცენტმა.

ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება უაღრესად რთულია და წინააღმდეგობრივი. აფხაზეთის ხელმძღვანელთა ეს ერთპიროვნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებს და რაც მთავარია, რესპუბლიკის მცხოვრებთა უმრავლესობის ნებას.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი მურმან ჯოჯუა, საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის" გენერალური დირექტორი ალუ გამახარია, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნის წარმომადგენელი ომარ საჯაია და სხვები. მათ გამოსვლებში მტკიცე პროტესტის გარდა ისმოდა შეშფოთება იმის გამო, რომ კონსერვატიული ძალები აფხაზეთში მეტისმეტად გააქტიურდნენ. კრებაზე აღინიშნა, რომ ანტიქართულ საქმეში მეტისმეტად გამოიჩინეს თავი პოლიტიკური ორგანიზაცია „სოიუზის" წევრებმა.

გამომსვლელებმა მტკიცე პროტესტი გამოხატეს ვლ. არძინბას განცხადების წინააღმდეგ და მოუწოდეს ხალხს ერთიანობის, სიფხიზლისა და ობიექტურობისაკენ.

გაერთიანებულმა კრებამ აღნიშნულ საკითხებზე შეიმუშავა და მიიღო მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლ. არძინბასადმი. მიხეილ გორბაჩოვს გაუგზავნეს საპროტესტო დეპეშა, სადაც უნდობლობა გამოუცხადეს ვლადისლავ არძინბას და აღშფოთება გამოთქვეს აფხაზეთში დემოკრატიის წინააღმდეგ ძალისმიერი, ანტიკონსტიტუციური მეთოდების გამოყენების გამო. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ თუ აფხაზეთის ხელმძღვანელობა ხელს მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, სოხუმის შრომითი კოლექტივები მიმართავენ სამოქალაქო მასობრივი დაუმორჩილებლობის აქტებს.

**იოსებ ბობეჯია,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.**

---

### ინტერვიუ

# ოცნება კი არა, საბრძოლო მიზანია

**დღევანდელ რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როდესაც სულ უფრო ძლიერდება და შეუქცევად ხასიათს იძენს ბრძოლა საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად, განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ერის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ერთსულოვნება, ფიზიკური და სულიერი მთლიანობის შენარჩუნება-განმტკიცება. ერთიან ეროვნულ ცნობიერებაში მიმდინარე ინტენსიური პოზიტიური ცვლილებების პროცესში ნებისმიერი შეცდომა და გადახრა უაღრესად საზიანო და დასაგმობია.**

**რა მდგომარეობაა ამ მხრივ აჭარაში, როგორ უწყობს ფეხს მოსახლეობა ახალი საქართველოს წინსვლისა და აღმავლობისათვის ბრძოლას, როგორ წყდება ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების პრობლემები? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი ესაუბრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ასლან აბაშიძეს.**

**— ბატონო ასლან, ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი საყოველთაო-სახალხო არჩევნებით გამოწვეული ვნებათა ღელვა. როგორ შეაფასებთ ამ არჩევნებს აჭარაში?**

— სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ, მიუხედავად ეროვნებისა, პარტიულობისა თუ რელიგიური მრწამსისა, მაღალი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი შეგნებულობა გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, აბსოლუტურმა უმრავლესობამ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ბატონ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას. მათი სახელით გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ხალხის ამ ნდობასა და მიღწეულ გამარჯვებას. ამით აჭარამ ხმა მისცა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს ერთიანობასა და განუყოფლობას, თავისუფლებას, დემოკრატიასა და ბედნიერ მერმისს.

**— პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატი და ნდობით აღჭურვილი პირი აკრიტიკებდნენ ეროვნული პარლამენტის პოლიტიკას აჭარაში. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?**

— ასეთმა დემაგოგიურმა განცხადებებმა მოსახლეობის დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, რაც მკაფიოდ გამოიხატა საგაზეთო პუბლიკაციებში და სატელევიზიო გამოსვლებში. კვლავ ვიმეორებ, პრეზიდენტის არჩევნების შედეგებმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ აჭარის მოსახლეობა იზიარებს და ეთანხმება რესპუბლიკის პარლამენტის პოლიტიკას, მის მიერ აღებულ კურსსა და გამოცხადებულ პროგრამას.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ზოგიერთი შეეცადა ზემოქმედება მოეხდინა მოსახლეობის ემოციებზე და ამით მომხრეები, მხარდამჭერნი შეეძინა, მაგრამ მოხდა პირიქით. როგორ შეიძლებოდა სამაჩაბლოსა და აჭარის პრობლემების, ამ რეგიონებში არსებული სიტუაციის ერთ სიბრტყეზე დაყენება და მათ შორის პარალელების გავლება? შაბნელ წარსულშიც კი, როცა აჭარა უცხოელ ასიმილატორის უღელქვეშ გმინავდა, აქაურ მოსახლეობას სრულიად საქართველოსაგან განცალკევებულად არასოდეს წარმოედგინა თავი, მით უფრო დღეს, ამაზე ლაპარაკი უხერხულად მიგვაჩნია.

**— ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. რა ცვლილებები მოხდა ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობის ყოფიერებასა და ცნობიერებაში?**

— საქართველო და მისი განუყოფელი ნაწილი, აჭარა ბევრჯერ აუოხრებიათ და დაურბევიათ, დამპყრობთა სისასტიკის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობა ერთი წუთითაც არ შეგუებია მოძალადეს. განუწყვეტლად იბრძოდა თავისუფლებისათვის, საუთუთად ინახავდა გულში ენისა და მამულის სიყვარულს, რომლის აღორძინებისა და აყვავების საქმეში მას ისტორიულად გამორჩეული წვლილი მიუძღვის. ამიტომაც წერდა დიდი ილია:

„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუძრავს თავისი სახელგანთქმული დროშა, ...სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული — თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს".

1878 წელს დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნება ქართველი ერის უდიდეს დღესასწაულად იქცა. ამ მოვლენით აღფრთოვანებული გრიგოლ ორბელიანი ამბობდა: „დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა... ვმადლობ უფალსა და ვევედრები, რომ შეერთება ჩვენი იყოს უკუნისი უკუნისამდე..." ახლა დიდი მგოსნის ნატვრა, აჭარა საბოლოოდ დაუბრუნდა და შემოუმტკიცდა დედასამშობლოს და მას ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს ამ გზიდან.

სამი საუკუნის გრძელმა ღამემ მოუშუშებელი იარები მიაყენა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს, მის მკვიდრთა ცნობიერებას, ყოფასა და კულტურას, მაგრამ ვერ ჩაკლა ქართული გენი და სული, ვერ მოდრიკა გაუტეხელი გული. აჭარელმა კაცმა სისხლით შეინარჩუნა მშობლიური მიწა და დღემდე ხელუხლებლად მოუტანა მომავალ თაობას. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მამულიშვილური გრძნობა, მხურვალე პატრიოტიზმი, ვაჟკაცური ქედუხრელობა და მტრისადმი დაუმორჩილებლობა, საქართველოს ყველა კუთხის ერთიანობისაკენ მისწრაფება, გულმოწყალება, შრომისმოყვარეობა და შესაშური სიდარბაისლე.

ამ და სხვა ძვირფასი ეროვნული თვისებებისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინებაში განსაკუთრებით ფასდაუდებელია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გულო კაიკაციშვილის, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, ხუსეინ ზვიანიძის, შერიფ ხიმშიაშვილისა და სხვა მამულიშვილთა ღვაწლი, რასაც არასოდეს დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

**— წინაპართა ამაგი მართლაც განუზომელია. ისინი დღესაც გვემოძღვრავენ და გვასწავლიან, რომ ერის ძლიერება მის ერთობაშია, რომ გათიშვასა და გაუტანლობას სიკეთე არავისთვის მოუტანია. საქართველოს მთელი ისტორია ამის ნათელი მაგალითია.**

— დიახ, მიუხედავად დაყოფა-დაქუცმაცებისა, ერის ცხოვრების გადამწყვეტ წუთებში საქართველოს ყოველი კუთხე ერთიანდებოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება გახლავთ ის დიდი ძალა, რომელიც დღეს აგრერიგად აკავშირებს ქართველ ხალხს და მხნეობას გვმატებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლაში.

ამის დასტურია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. 1989 წლის გაზაფხულზე, როცა აჭარის ათობით სოფელი დაიმეწყრა და ხუთი ათასზე მეტი ოჯახი ზვავსაშიშ ზონაში აღმოჩნდა, მთელი საქართველო მხარში ამოგვიდგა. 42 რაიონის 178 დასახლებულ პუნქტში განსახლდა 30 ათასამდე მცხოვრები. მათ ყოველგვარი დახმარება გაეწიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან განსახლდნენ მესხეთში, ქვემო ქართლში და სხვა ისეთ რეგიონებში, სადაც ძალზე საჭიროა დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღება.

ახლახან, როდესაც იმერეთისა და რაჭის ცალკეულ რაიონებს მიწისძვრით გამოწვეული უბედურება დაატყდა თავს, აჭარის მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა. დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრა მაშველთა რაზმები, შეგროვდა მილიონობით მანეთი, სურსათი, ტანსაცმელი და ა. შ.

**— და მაინც, დღეს, როდესაც ყველას გვმართებს ერთიანობა, ხოლო რესპუბლიკისათვის მეტად საჭიროა სტაბილური, მშვიდი ატმოსფერო, აქა-იქ გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც აღვივებენ ათასგვარ ჭორსა და მითქმა-მოთქმას, ცდილობენ მოსახლეობის დაპირისპირებასა და გათიშვას, თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას.**

— სამწუხაროდ, ყოველ გარდამტეხ მომენტს გარკვეული წინააღმდეგობებიც ახასიათებს. ყველა ერთნაირად როდი აზროვნებს. არიან ადამიანები, რომელთა პოლიტიკური და ეროვნული თვითშეგნება ჯერ კიდევ დაბალია ან დესტრუქციული ძალების გავლენას განიცდიან.

როცა ერის, ხალხის პოლიტიკურ ორიენტაციასა და მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზეა ლაპარაკი, ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ აბსოლუტური უმრავლესობის აზრს და არა გაუთვითცნობიერებელი პირის მიერ ქუჩაში წამოსროლილ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება პროვოკაციულ მიზანსაც ისახავდეს.

აჭარის მოსახლეობამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული და პოლიტიკური პრობლემებისადმი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ერის ერთიანობისადმი თავისი დამოკიდებულება სრულიად მკაფიოდ გამოხატა მიმდინარე წლის 31 მარტს გამართულ რეფერენდუმსა და ახლახან დამთავრებულ პრეზიდენტის არჩევნებში. ვინც ამას არ ხედავს ან არ სურს დაინახოს, მას საეჭვო მიზნები ამოძრავებს.

არც ის არის გასაკვირი, რომ მოსახლეობის გარკვეულ (თუმცა უმნიშვნელო) ნაწილში ზოგიერთ საკითხზე არსებობს აზრთა სხვაობა. ძალზე დასანანია ისიც, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ესწრაფვიან ვითარების გართულებას, წყლის ამღვრევას, რიგით მოქალაქეებს სულს უფორიაქებენ. ჩვენთვის ცნობილია ასეთი ძალები, მაგრამ მოვლენათა მსვლელობაზე ისინი ვერ მოახდენენ არსებით გავლენას. მოთმინებით ველოდებით, თუ როდის მოეგებიან გონს, დარწმუნებული ვართ მომხდარი ფაქტები მათ დააფიქრებთ და მხარში ამოგვიდგებიან.

ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ახლანდელი აფორიაქებული საზოგადოების ინტერესები დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე ვითარებიდან და ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ყოველმხრივ აწონილ-დაწონილ, გონივრული პოლიტიკური ხაზის გამონახვის აუცილებლობას. არსებული პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ გზად გვესახება არა კონფრონტაცია, არამედ დიალოგი, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობა, ერთიანი პოზიციის გამომუშავება, მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული, ცივილიზებული პოლიტიკური მეთოდების გამოყენება.

**— უკანასკნელ თვეებში რამდენჯერმე დაინიშნა და გადაიდო აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები. რა იყო ამის მიზეზი?**

— აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებაა. იგი უნდა მოეწყოს მშვიდ ატმოსფეროში, მაღალ დონეზე, რათა ხალხმა აირჩიოს ჭეშმარიტად ღირსეული, ჭეშმარიტად ეროვნული თვისებების მქონე დეპუტატები. საამისოდ ხალხს საკმაო დრო უნდა მიეცეს. იმასთან დაკავშირებით, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები რესპუბლიკურ რეფერენდუმს, შემდგომში კი პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებს ემთხვეოდა, იგი გადაიდო და 23 ივნისისათვის არის დანიშნული. დარწმუნებული ვართ, არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდება და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ამომრჩევლები ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს მისცემენ ხმას.

**— რა პრობლემებზე მუშაობს ამჟამად აჭარის უზენაესი საბჭო?**

— საქართველოს უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობითა და აქტიური დახმარებით მზადდება მმართველობის ყველა რგოლში ახალი სტრუქტურების სქემები. არჩევნების შემდეგ ფაქტობრივად შეიქმნება და ამოქმედდება რესპუბლიკური და ადგილობრივი მმართველობის სრულიად ახალი ორგანოები. ჩვენი მიზანია ისინი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ავტონომიურ რესპუბლიკას, თითოეული ქალაქის, რაიონისა თუ სოფლის ადგილობრივ პირობებს, თავისებურებებსა და განვითარების პერსპექტივებს. ვცდილობთ აღვადგინოთ და დღევანდელი სიტუაციის მიხედვით გამოვიყენოთ ტრადიციულად არსებული უხუცესთა საბჭოს ინსტიტუტი, რომელსაც ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. თავისუფალი ეკონომიკური განვითარების ამოცანათა მიხედვით გარდაიქმნება მთავრობისა და სამეურნეო ორგანოების სტრუქტურა და მართვის მექანიზმი. გვაქვს სხვა საინტერესო ჩანაფიქრიც.

**— რა კეთდება ავტონომიურ რესპუბლიკაში წამოჭრილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად? როგორ გესახებათ პერსპექტივები?**

— ეკონომიკური ბლოკადა, ჩვენი საწარმოების მოძველებული ტექნიკური აღჭურვილობა სერიოზულ სიძნელეებს გვიქმნის, ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი სოციალურ სფეროში. რა დასამალია, საქონლითა და სურსათით მოსახლეობა ცუდად მარაგდება, დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა. კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მაღალგანვითარებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოები სჭირდება. ამჟამად ვმუშაობთ ეკონომიკის აღმავლობის კონკრეტულ პროგრამაზე. მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებას. შევქმნით ერთობლივ საწარმოებს, ავამაღლებთ შრომის ორგანიზაციას, გადმოვიტანთ პროგრესულ მეთოდებს, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ადგილობრივ რესურსებს. საამისოდ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. საქმიანი კონტაქტები დამყარდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თურქეთთან, იტალიასთან და სხვა ქვეყნებთან.

სიახლეების დანერგვასთან ერთად დაგეგმილი გვაქვს ავაღორძინოთ ისტორიულად დამახასიათებელი დარგები: მეცხოველეობა, მეხილეობა, მარცვლეულის წარმოება, ხალხური რეწვა და სხვა. ასე, რომ აჭარა თავის წონად სიტყვას იტყვის ეროვნული ეკონომიკის აღმავლობაში.

**— ახლახან ბატონი ზვიად გამსახურდია რამდენიმე დღით ეწვია აჭარას. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს რა საკითხებს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება?**

— მოუცლელობის მიუხედავად ბატონი ზვიადი ხუთი დღე დარჩა აჭარაში, შეხვდა ყველა რაიონისა და ქალაქის მცხოვრებლებს. განიხილა ყველა პრობლემა, რაც აჭარის მშრომელთა წინაშე გადასაწყვეტად დგას. მოგეხსენებათ, მთას ჯერ კიდევ არ განმრთელებია ორი წლის წინათ ზვავებით მიყენებული ჭრილობები. ჯერ არ დამთავრებულა საქართველოს სხვა რაიონებში დაზარალებულთა გეგმიური განსახლება. უნდა განვითარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამჟამად ქვეყანას სჭირდება მეტი ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები. ჩვენს ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ ამ საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

გზებზე, დასახლებულ პუნქტებში, რაიონულ ცენტრებში მოსახლეობა ძვირფას სტუმარს აღტაცებით ეგებებოდა. ეს იყო თავისებური მანიფესტაცია, ერთგულებისა და თანადგომის გამოხატულება. ზვიად გამსახურდიას ასეთი პოპულარობა გამოწვეულია იმით, რომ იგი ძალ-ღონეს არ იშურებს ახალი საქართველოს მომავლისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა თავისუფლების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯების სიმტკიცე, ზემოქმედების ის ძალა, რაც მან ხალხის დასარაზმავად გამოიჩინა. ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველო და ზვიად გამსახურდია ერთ მცნებად გადაიქცა.

შეხვედრების დროს, თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი ნათლად დარწმუნდა, რომ აჭარა, მისი მოსახლეობა ბურჯად უდგას ერთიან საქართველოს.

**— და ბოლოს, რა არის თქვენი მოღვაწეობის უპირველესი მიზანი?**

— ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა, ეროვნული აღორძინება და ბრძოლა თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი, განუყოფელი საქართველოს წინსვლისა და განმტკიცებისათვის. ეს ოცნება კი არ არის, არამედ რეალური, მთავარი საბრძოლო მიზანია. მე მჯერა ხვალინდელი დღისა.

**ესაუბრა მიხეილ გორგილაძე.**

---

## განცხადება

**ქ. თბილისში და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები სხვაველების საყურადღებოდ!**

**ამა წლის** 25 ივნისს ცეკავშირის სხდომათა დარბაზში (თავისუფლების მოედანი 7). საღამოს 7 საათზე საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის" სხვავის განყოფილება იკრიბება მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

**გთხოვთ მობრძანდეთ!**

**გაზეთ** საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 21 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „სხვავის" ტაძარი — სრულიად საქართველოს სალოცავი", რომელშიც მოთხრობილი იყო, რომ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ სოფელში ენერგეტიკული სამუშაოების ჩასატარებლად თბილისიდან მივლინებული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს 4 მაისს გამთენიისას სოფელ სხვავაში გამოეცხადა „უცნობი" მღვდელმოწამეთაგანი. იმ ადგილზე, სადაც გამოცხადება მოხდა, უნდა აშენდეს ტაძარი — სრულიად საქართველოს სალოცავი. სხვავის ტაძრის ასაშენებლად ამბროლაურის რაიონის ბანკში გაიხსნა ანგარიში.

ანგარიშის ნომერია 70073 ამბროლაურის აგრობანკი.

**საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის" სხვავის განყოფილება.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლექტივი იუწყება უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრის**
**თეიმურაზ ესტატეს ძე ჯაჯანაშვილის**
**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

მთავარი რედაქტორი მანუჩა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
შეკვეთა [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა